PRIME Time

N14 (315) ორშაბათი, 13 აპრილი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ქრისტე აღსდგა!

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

შალვა აბულაძის მეგობრებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს

როგორ მიაგნეს პოლიციელების მკვლელობაში exclusive ბრალდებულის კვალს?



რა წერია თორდიას უნყების საიდუმლო დასკვნაში?

ჟვანიას ექსპერტის სკანდალური ჩვენება

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

exclusive

ძალადობის შემზარავი ფაქტი, რომელიც ომბუდსმენის ანგარიშში მოხვდა

არასრულწოვანზე კლასელებისა და უფროსკლასელების მხრიდან სექსუალური ძალადობა ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა

exclusive

ვის ჯიბეში მიდის ახლო აღმოსავლეთიდან პანკისის ხეობაში შემოსული შავი ფული?

„ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული ფული, ხშირ შემთხვევაში, ნაწილდებოდა არა მხოლოდ ადგილობრივ სალაფიტ ლიდერებს შორის, არამედ საქართველოს უშიშროების თანამშრომლებს შორისაც“

exclusive

ექსპრემიერის სხეულში CO_2-ს სასიკვდილო დოზა

„ამოჭრეს რაღაც-რაღაცები... რაც საჭირო იყო, ის არ გაუშვეს...“

არ ფიქსირდებოდა!!!

SCANDAL

ქართული კანონი LGBT წყვილებს exclusive ქორწინებას უკრძალავს შვილის აყვანას - არა!

„იყო მსგავსი შემთხვევა და სწორედ ამაზე მიმდინარეობდა დავა და ძიება“

„უარის თქმის საფუძველი არ არსებობს“

„მეუღლეებად“ შეიძლება ჩაითვალოს ერთსქესიანი წყვილიც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შალვა აბულაძის მეგობრებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს

როგორ მიაგნეს პოლიციელების მკვლელობაში ბრალდებულის კვალს?

მირიან ბოქოლიშვილი

პარასკევს, გამთენიისას, ბორჯომის რაიონის სოფელ არდაგანში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა, რა დროსაც სამართალდამცავებმა ორი პოლიციელის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული შალვა აბულაძე დააკავეს. როგორ მიაგნო პოლიციამ აბულაძის ადგილსამყოფელს და ითანამშრომლეს თუ არა გამოძიებასთან მისმა მეგობრებმა? ცნობილია, რომ აბულაძის დაკავებას წინ უძღოდა მისი რამდენიმე მეგობრის დაპატიმრება, რომელთაც, გავრცელებული ინფორმაციით, ძებნილთან კონტაქტი უნდა ჰქონოდათ. ერთ-ერთი მეგობარი, რამინ მამედოვი, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს. წაყენებული ბრალით მას უვადო პატიმრობაც კი ემუქრებოდა, თუმცა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების საკითხი ჯერაც არ იყო გადაწყვეტილი, რომ ბორჯომში შალვა აბულაძე სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. ამის შემდეგ კი მამედოვი წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. გასცა თუ არა რამინ მამედოვმა აბულაძის ადგილსამყოფელი, რის სანაცვლოდაც მან გარკვეული გარანტიები მიიღო? ამის გასარკვევად ჩვენ მამედოვის ადვოკატს, შალვა ხაჭაპურიძეს ვესაუბრეთ:

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი წინასწარი დაკავების პერიოდში დანაშაულს არ აღიარებდა, თუმცა სასამართლო განხილვის დაწყებამდე მან მთხოვა გასაუბრება და აღიარა მის მიმართ ნაყენებული ბრალი.

– მან ჩვენება შეცვალა მას შემდეგ, რაც შალვა აბულაძე დააკავეს... უკავშირდება თუ არა ეს ერთმანეთს?

– ნამდვილად არა. ბრალდებულს უფლება ჰქონდა, ჩვენება შეეცვალა და დანაშაული ელიარებინა. ამის საანაცვლოდ პროკურატურა დაეთანხმა ჩვენს შუამდგომლობას გირაოს შეფარდების შესახებ და მოსამართლემაც დაკმაყოფილა ეს შუამდგომლობა. 2 მაისს ჩანიშნულია წინასასამართლო სხდომა.

– შესაძლებელია, მამედოვსა და პროკურატურას შორის საბოლოოდ საპროცესო გარიგება შედგეს?

– იდეაში ყველაფერი შესაძლებელია. მისი პოზიციაა, რომ ციხეში არ მოხვდეს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

– ამბობენ, რომ მამედოვმა საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ პოლიციას შალვა აბულაძის ადგილსამყოფლის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია....

– არა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მისთვის შალვა აბულაძესთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამთ. მას ედავებოდნენ იმ დანაშაულს, რომელიც ბრალად წარედგინა. მე თავად ვკითხე აბულაძის შესახებ და მან მითხრა, რომ იცნობს და მეგობრობს ამ პიროვნებასთან, სხვა რაიმე ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ ჰქონია...

– იმ ბრალით, რომელიც მას წარედგინა, რა სასჯელი ემუქრებოდა?

– ბრალი, რომელიც მას წაუყენეს, 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. მოკლედ, რამინ მამედოვი 20-წლიან პატიმრობას გადაურჩა, თუმცა უვადო პატიმრობა ემუქრება მის მეგობარს, პოლიციელების მკვლელობაში ბრალდებულ შალვა აბულაძეს. შსს-ში ადასტურებენ, რომ ბორჯომის რაიონის სოფელ არდაგანში სპეცოპერაცია მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა, თუმცა საგამოძიებო უწყება არ აკონკრეტებს, ვინ მიანწოდა ეს ინფორმაცია. სამართალდამცველებმა სახლიდან, სადაც შალვა აბულაძე იმალებოდა, 2 პისტოლეტი და 1 ხელყუმბარა ამოიღეს. დაკავებული თბილისში ვერტმფრენით გადმოიყვანეს. შალვა აბულაძის ძებნის ოპერაციაში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩართული იყო შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფი. ძებნა-დაკავების ღონისძიებაში, ასევე, ჩართული იყო შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები. დაკავებული შალვა აბულაძე იძებნებოდა პოლიციელების – ბორჯომის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გიორგი ბერუაშვილისა და შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ბექა მარგიშვილის მკვლელობის ფაქტზე, ასევე, ინსპექტორ-გამომძიებლების – გიორგი მახარაშვილისა და ვალერიან გრძელიშვილის დაჭრის ფაქტზე. შალვა აბულაძის წინააღმდეგ გამოძიება პროკურატურამ დაიწყო საქართველოს სსკ-ის რამდენიმე მუხლით, რაც პოლიციელის სიცოცხლის მოსპობას, მოსპობის მცდელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. ბრალდება 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.



ქრისტე

ხათუნა მგალობლიშვილი

ყოველი წლის აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლი გადმოდის. როგორც ცნობილია, ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში პირველად მესამე საუკუნეში გადმოვიდა. გადმოცემის თანახმად, სააღდგომო ლიტანიობაზე კანდელში ზეთი შემოაკლდათ და პატრიარქს კურთხევა გაუცია, კანდელში სილოამის ემბაზის წყალი ჩაესხათ. როგორც კი პატრიარქის კურთხევა შეასრულეს, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და კანდელები აანთო, რომლებიც მთელი ლიტანიობის მანძილზე არ ჩამქრალა. ყოველწლიურად წმინდა მიწაზე ჩასული ადამიანები ერთნაირი მოლოდინითა და შიშით ელოდებიან წმინდა ცეცხლის გადმოსვლას, რადგან, ნინასწარმეტყველების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ცეცხლი აღარ გადმოვა, ეს მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშანი იქნება...

მამა საბა ჭიკაიძე, ვაკის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური:

– აღდგომის დღესასწაული ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებისთვის, პავლე მოციქული პირდაპირ წერს: აღდგომა რომ არ ყოფილიყო, მთელი ჩვენი სარწმუნოება იქნებოდა ფუჭი. ჩვენი, ადამიანების გამოხსნის საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: ღმერთი კი არ მოკვდა და ჯოჯოხეთმა კი არ ჩაყლაპა ის, არამედ, რომ მოკვდა, ადამიანური, შეძენილი ბუნებით ბოლომდე განიცადა ყველა ის ტკივილი, ბოლომდე მიიღო ადამიანის ყველა ხვედრი, სიკვდილის ჩათვლით, რადგან მას ზუსტად ისეთივე სხეული ჰქონდა მანამ, სანამ აღდგებოდა, როგორც ადამიანს. აღდგომის შემდეგ მან უკვე სულ სხვა სხეული შეიმოსა. სიკვდილი, ხრწნილება – ეს ცოდვის შედეგია, ცოდვის გამო შემოვიდა ჩვენში სიკვდილი და ხრწნილება, ამას ვერ გაექცა ვერც ერთი ადამიანი ადამის მოდგმიდან. უფალმა ცოდვა არ მიიღო, მან ცოდვის გარეშე იცხოვრა. ეშმაკმა ვერაფრით მოახერხა მისი ცდუნება, ფიქრშიც კი. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩასაფრებული იყო, რომ გაებოროტებინა, ჩასაფრებული იყო, რომ სამაგიერო გადაეხდევინებინა უმადური ადამიანებისთვის. ქრისტემ სიყვარულისა და სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთა ადამიანებს, მკვდარი აღუდგინა მათ, კეთროვნები განკურნა, მშივრები დააპურა, უხილოები, ბრმები, ყრუები განკურნა, სიყვარული ასწავლა და ამის საპასუხოდ ტკივილი, შეურაცხყოფა, ჯვარცმა მიუსაჯეს. წარმოიდგინეთ, როგორი დიდსულოვნება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ჯვარზე გაკრულმა და სასიკვდილოდ გამეტებულმა ისევ იმ ჯვარმცმელებისთვის ილოცოს და მიუტევოს. ამ უკანასკნელ გამოცდასაც გაუძლო, უფალს სრული უფლება ჰქონდა, რომ ეს ადამიანები, ვინც ის ჯვარზე გასაკრავად გაიმეტა, შეერისხა. ამას სამართლიანად იმსახურებდნენ ისინი, მაგრამ უფალმა ეს არ გააკეთა. ისე აღესრულა, რომ ცოდვა ფიქრშიც კი არ შეუშვია. სწორედ ამით შეძლო და განაქარვა სიკვდილის ის მიზეზი, როგორც ამას პავლე მოციქული ბრძანებს: ცოდვა არის ხელმოსაჭიდი, რასაც სიკვდილი ებღაუჭება. როგორც იოანე ოქროპირი ამბობს, ჯოჯოხეთს ეგონა, რომ კიდევ ერთ ადამიანს ჩაყლაპავდა, როგორც მანამდე მილიონობით და მილიარდობით ჰყავდა ჩაყლაპული, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯოჯოხეთთან ისეთი ადამიანი მივიდა, რომელსაც ცოდვა არ შეხებია. სწორედ ამის გამო იესომ შეძლო და დაარღვია ჯოჯოხეთის მთლიანობა, დაარღვია ის კანონი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ყველას ყლაპავდა. ჯოჯოხეთმა მიზეზი ველარ უპოვა იესოს, რომ ისიც ჩაეყლაპა, პირიქით, თავისი ღვთაებრივი ადამიანური ბუნებით ის ჯოჯოხეთში ჩავიდა და იქაურობა გააცისკროვნა. ქრისტეში თითოეული ჩვენგანი აღვდექით. იესომ ხსნა არა მხოლოდ ცოცხალ ადამიანებსა და ვინც მას შემდეგ დაიბადებოდა, მათ მიანიჭა, არამედ იმათაც, ვინც უკვე გარდაცვლილი იყო და თავის მხსნელს ელოდებოდა. ყველას უნახავს აღდგომის ხატი, სადაც მაცხოვარია გამოსახული, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ადამი და ევა ამოჰყავს, მათი სახით კი მთელი მონანიე კაცობრიობა. ამიტომ აღდგომის დღესასწაულს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებისთვის, რადგან ქრისტეს აღდგომა თითოეული ჩვენგანის აღდგომას უდრის. როდესაც ქრისტიანი ინათლება, ის ინათლება აღმდგარი ქრისტეს სახელით. ქრისტე რომ არ აღმდგარიყო, არც ერთი წმინდანი ჩვენ არ გვეყოლებოდა, ჩვენ არ გვექნებოდა ეკლესია, არ გვეყოლებოდნენ მოციქულები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სიკვდილის შიშის გამო დაიფანტნენ ისინი, ქრისტესაც კი ვერ უერთგულეს. ერთადერთი მოციქული, ვინც შეძლო და უერთგულა, იოანე იყო. დანარჩენები დაიფანტნენ, შეეშინდათ. შემდეგ კი, როგორ ფიქრობთ, რამ მისცა მათ იმის ძალა, რომ ასე თამამად, ასე გაბედულად დაეწყოთ ქადაგება და თითოეულმა მათგანმა, იოანე ღვთისმეტყველის გარდა, მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა ცხოვრება – ეს ძალა მათ უფალმა მისმა, მათ იხილეს აღმდგარი უფალი, მათ მიიღეს უფლისგან დარიგებები, ნახეს, როგორი იყო სხვა ბუნების მქონე უფალი, რომელსაც შეეძლო, დახურულ კარში შესულიყო. საკუთარი თვალით იხილეს უფლის ზეცად ამაღლება, მაცხოვრისგან მიიღეს სულიწმინდა. ამის შემდეგ უკვე შეძლეს თავი დაედოთ უფლისთვის, რადგან ხორციელი ცხოვრება მათთვის აღარაფერს წარმოადგენდა. ჩვენც ზუსტად იმიტომ ვევედრებით უფალს, შეგვწიოს მისი მადლი, რომ ჩვენც შეგვიძლია, თუკი ქრისტესთვის მოვკვდებით, აღვდგეთ, როგორც ქრისტე აღდგა.

– წმინდა ცეცხლზე მინდა გკითხოთ. ხალხს შიში აქვს და სჯერა, თუ ერთხელაც ცეცხლი აღარ გადმოვა, ეს დასასრულის ნიშანი იქნება...

– ასეა ნაწინასწარმეტყველები, ასეა ნათქვამი, რომ ეს იქნება სიმბოლო მეორედ მოსვლის მოახლოების, რომ ამით გარკვეული ნიშანი მოგვეცემა, თუმცაღა ამით არ უნდა ვისაზრდოოთ, ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის განმსაზღვრელი. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი დამოკიდებულება უფლისადმი ჩვენი ცხოვრების სახით, რადგან არ ვიცით, როდის დასრულდება ჩვენი ცხოვრება. თითოეული ადამიანისთვის მეორედ მოსვლა იქნება მისი გარდაცვალების ჟამი, ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის იმას, როდის იქნება მეორედ მოსვლა, როდის აღარ გადმოვა წმინდა ცეცხლი. სასწაულებით არ უნდა იკვებებოდეს ქრისტიანი, რადგან, თუ ის მხოლოდ სასწაულებზეა დამოკიდებული, ძალიან ადვილად მოიხიბლება და მოტყუვდება. სასწაულს ანტიქრისტეც მოახდენს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აღსდგა!

„ჯოჯოხეთთან ისეთი ადამიანი მივიდა, რომელსაც ცოდვა არ შეხებია. სწორედ ამის გამო იესომ შეძლო და დაარღვია ჯოჯოხეთის მთლიანობა“

მამა საბა:

„სასნაულებით არ უნდა იკვებებოდეს ქრისტიანი, რადგან, თუ ის მხოლოდ სასნაულებზეა დამოკიდებული, ძალიან ადვილად მოიხიბლება და მოტყუვდება“

„ცოდვა არის ხელმოსაჭიდი, რასაც სიკვდილი ებღაუჭება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ სად და როგორ შეხვდა აღდგომას

პაატა ბურჭულაძე

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს თბილისში, ოჯახურ გარემოცვაში შეხვდა. ანიტა რაჭველიშვილი რომში, სადაც საოპერო თეატრი ვერდის „აიდას“ პრემიერისთვის ემზადება. ქართველი მეცო-სოპრანო ამნერისის პარტიას შეასრულებს. „პრაიმტაიმი“ ასევე იტალიაში მოღვაწე მსოფლიოში აღიარებულ საოპერო მომღერალს ნანა მირიან-ქავთარაშვილსაც დაუკავშირდა და ბეირუთში მყოფი კალათბურთელის ნიკა ცქიტიშვილის ოჯახსაც. მკითხველს ასევე გიორგი კეკელიძისა და გია ჯაჯანიძის სააღდგომო ტრადიციებზე მოვუთხრობთ.

ნანა მირიანი-ქავთარაშვილი, მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი:

- ძალიან მიყვარს აღდგომის ღამეს ტაძარში ყოფნა, თუ საქართველოში ვიმყოფები აუცილებლად ვათენებ ღამეს და სააღდგომო ლიტანიობას ვესწრები ტაძარში. ველოდებით ხოლმე წმინდა ცეცხლის გადმოსვლას და მის საქართველოში ჩამობრძანებას. დილით კი ოჯახის წევრები და ახლობლები ვიკრიბებით, ვულოცავთ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას და სუფრასთან სადღესასწაულოდ ვსადილობთ. აღდგომას ვხვდებით ტრადიციულად როგორც ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი. ეს არის ყველაზე დიდი დღესასწაული მთელი კაცობრიობისთვის. რა თქმა უნდა, დავდივართ ეკლესიაში წირვა-ლოცვებზე, ვმარხულობთ... ვემზადებით აღდგომისთვის... პარასკევს კვერცხებს ვღებავთ წითლად, ვაცხობთ ან ვყიდულობთ პასკებს. როცა იტალიაში ან სხვა ქვეყანაში მიწევს ყოფნა ცოტა მიჭირს ამ ყველაფრის შესრულება... მართლმადიდებლური ტაძარი უნდა მოვძებნო და შეძლებისდაგვარად დავიცვა ჩვენი წესები. ან ჩემთვის ვანთებ ხოლმე სანთელს და ლოცვებს ვკითხულობ. საზღვარგარეთ თუ ერთ ადგილზე ხარ მუდმივად, იქ უკვე აწყობილი გაქვს და მოგვარებული ეგ საკითხი, მაგრამ თუ მოგზაურობ, ეს ცოტა ძნელია... იტალიაში ხშირად შევხვედრივართ აღდგომას ქართველები ერთად ბერძნულ ან რუსულ ეკლესიაში, ქართულ საგალობლებს ვგალობთ ხოლმე, მერე კი ვიკრიბებით ვინმესთან ოჯახში ქართული კერძებით გაწყობილ სუფრასთან! რომლისთვისაც უკვე წინასწარ ვართ მომზადებულები.

გიორგი კეკელიძე

ჩემს ბავშვობას დაემთხვა ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირი თითქმის დანგრეული იყო და რელიგიური თვალსაზრისით ბევრად თავისუფალი. დედაც და ბებიაც ძალიან მორწმუნეები იყვნენ და მეც ბავშვობიდანვე ვიყავი ჩართული ყველა იმ რელიგიურ რიტუალში, რაც ამ პერიოდს ახასიათებს. განსაკუთრებით პატარას ძალიან დიდი მოლოდინი მქონდა წითელი კვერცხებისა და პასკის. ბუნებრივია, ეს იყო ჩემთვის დიდი დღესასწაული სხვადასხვა თვალსაზრისით. ახლაც ასეა, ამიტომ, როგორც წესი, ჩავდივარ გურიაში და იქ ვხვდები, მაგრამ ამჯერად ვერ მოვახერხე.

სოფელში ყველა ერთად აღნიშნავს, სუფრასთან. ელოდებიან 12 საათის დადგომას, დაახლოებით რომ წარმოვიდგინოთ, ახალი წლის მოსვლის განწყობაა, შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მხიარული და კარგი დღეა. მეორე დღის ტრადიციაც მძაფრად არის დამკვიდრებული. ბევრი ჩემი ნათესავია გურიაში დაკრძალული. მეც გავდივარ სასაფლაოზე, არის ე.წ. კვერცხის გაგორებისა და საფლავზე ღვინის მოსხმის რიტუალი, ვამბობთ, იქ მიუვა. ასევე ბევრი ნიუანსი, რომელიც არის შემორჩენილი და მკაცრად იცავენ ამ ტრადიციებს. ბებია მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ ლოცვებს კითხულობდა.

ექსპერტის სკანდალური

ზურაბ ჟვანიას სხეულში კარბოქსინ-ჰემოგლობინის სასიკვდილო დოზა არ ყოფილა

EXCLUSIVE

დამთავრდეს გამო ყველაფერს გაეცე

ირაკლი მამალაძე

რამდენიმე კვირის წინ საქალაქო სასამართლომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული ექსპერტი ლევან ჩაჩუა გაამართლა, მას პროკურატურა გარდაცვლილთა გვამებზე არსებული სავარაუდო დაზიანებების არაზუსტ აღწერასა და სამედიცინო ექსპერტიზის გაყალბებას ედავებოდა, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის ბრალდება და ჩიჩუა უდანაშაულოდ ცნო.

პრემიერ-მინისტრის საქმეში არის კიდევ ერთი ექსპერტი, რომელიც პროკურატურამ ხელახალი გამოძიების დროს დაკითხა, ჩვენება საქმეში დევს, თუმცა ის ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა. საუბარია ჟვანიას საქმის ერთ-ერთ ექსპერტზე მარიამ ავალიძეზე, რომელმაც ლაბორატორიული კვლევა ჩაატარა გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის სისხლში კარბოქსინ-ჰემოგლობინზე, მაშინ მარიამ ავალიძემ ჟურნალისტებს კვლევის შედეგები რეკორდულ დროში ნახევარ საათში აცნობა, პრემიერ-მინისტრის საქმეზე განცხადება, სახელმწიფო ექსპერტმა, როგორც ოფიციალურმა პირმა, ვანო მერაბიშვილის შემდეგ გააკეთა. ექსპერტი ნახშირბადმონოქსიდით, იგივე ცეოთი, მოწამვლის შესახებ საუბრობდა და გამოძიების ოფიციალურ ვერსიას ამყარებდა. პრემიერ-მინისტრისა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების დღეს ექსპერტიზის ბიუროს, ბიო-ჰემატოლოგიური განყოფილების უფროსმა მედიასთან კომენტარი შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის პრესსამსახურის უფროსის, გურამ დონაძის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ გააკეთა. ექსპერტ მარიამ ავალიძის ინტერვიუ ჟვანიას ოჯახისთვის და ახლობლებისთვის არადამჯერებელი აღმოჩნდა. „დაბნეული ექსპერტი“ – ამ სათაურით მოხვდა მარიამ ავალიძის განცხადება ჟურნალისტ ვახო კომახიძის ფილმში „ტყვიის გარეშე“. მარიამ ავალიძეს ამ შეფასებებისთვის და მის წინააღმდეგ მაშინ გაკეთებული განცხადებებისთვის არ უპასუხია. სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს წამყვანი სპეციალისტი დუმილს 10 წლის შემდეგ არღვევს და პირველად „პრაიმტაიმთან“ სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მარიამ ავალიძე აცხადებს, რომ ზურაბ ჟვანიას ორგანიზმში კარბოქსინ-ჰემოგლობინის დონე ლეტალური რაოდენობის არ ყოფილა. ის ამბობს, რომ მაშინ ჟურნალისტებთან ზოგადი კლინიკური ანალიზი გააკეთა, რაცა საზოგადოების მხრიდან არასნორად იქნა აღქმული. ჩვენთან საუბარში ექსპერტი კიდევ ერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მარიამ ავალიძის თქმით, მის მიერ დადებული ლაბორატორიული კვლევები ფედერალური ბიუროს მიერ შეერთებულ შტატებში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგებისგან განსხვავდება.

მარინა ავალიძე დღემდე მუშაობს ლევან სამხარაულის ბიო-ჰემატოლოგიურ ლაბორატორიაში და ამ დარგის წამყვანი სპეციალისტია. ის დასთან ერთად თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობს. ექსპერტს სახლში ვესტუმრეთ და პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმის დეტალებზე საუბარი ვთხოვეთ. ავალიძე კატეგორიულად არ საუბრობს მის მიერ ჟვანიას საქმეზე მიცემული ახალი ჩვენების დეტალებზე.

– ქალბატონო მარიამ, როგორც ვიცით, პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ფაქტზე განახლებული გამოძიების მიერ დაიკითხეთ პროკურატურაში...

– მე ამ თემაზე არ ვისაუბრებ. მიმართეთ საგამოძიებო ორგანოს და იქიდან მიიღეთ ინფორმაცია.

– შეგიძლიათ, გაიხსენოთ 2005 წლის 3 თებერვალი. ის დღე, როცა თქვენ ჟურნალისტებთან გააკეთეთ ძალიან დაბნეული და ბუნდოვანი განცხადება? რით იყო ეს გამოწვეული?

– ამოჭრეს რაღაც-რაღაცები. რაც საჭირო იყო, ის არ გაუშვეს.

– ვინ ამოჭრა?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით.

– რატომ მოგინიათ მაშინ მაინცდამაინც თქვენ კომენტარის გაკეთება და ისიც ასე ნაჩქარევად?

– ვის უნდა გაეკეთებინა, აბა? მე ჩავატარე კვლევები და გავაკეთე კომენტარი. და რა ვთქვი მე იქ ისეთი?

– როგორ, თქვენ ხომ ისაუბრეთ სისხლში ცეოს პროცენტულ რაოდენობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, პრემიერის ორგანიზმში აღმოჩნდა?

– პროცენტებსა და ციფრებზე არ მისაუბრია. ზუსტად არ იცით, ეტყობა, და ეგ არის პრობლემა. მე ვთქვი, რომ იქ აღმოჩნდა რაღაც წინასწარი მონაცემებით და შემდგომ დადგინდება-მეთქი.

– დღესაც იგივეს ფიქრობთ, რაც 10 წლის წინათ თქვით?

– იცით, რა არის? იმ კვლევით მასალაში, რაც წარმოგვიდგინეს და რაც გამოვიკვლიეთ, იყო კარბოქსინ-ჰემოგლობინის ის რაოდენობა, რაც ჩვენ გამოვიკვლიეთ. სხვათა შორის, ფედერალურმა ბიურომ რომ გადაამოწმა იგივე მასალა, რომელიც იქნა წაღებული, უფრო დიდი რაოდენობით ნახა კარბოქსინ-ჰემოგლობინი, ვიდრე აქ ჩვენ.

– შეიძლება ეს გაყალბებულიყო?

– ჩვენთან ყველანაირი სტანდარტი იყო დაცული. ყველა მასალა, რაც ამოვიღეთ, ხელმოწერით იქნა დადასტურებული, რაც ჩვენგან წაიღეს. დანარჩენი კი არ ვიცი, იქ რა და როგორ იყო.

– თქვენ რატომ გაასაჯაროეთ ასე სწრაფად ეს ინფორმაცია? კვლევებს ხომ რაღაც დრო სჭირდებოდა?

– იმ მონაცემებით, რაც მე მქონდა, ნახევარ საათში დგინდება, არის თუ არა სისხლში კარბოქსინ-ჰემოგლობინი. მე ეს ვთქვი მხოლოდ, რომ ეს იქნა აღმოჩენილი. რაოდენობა და პროცენტები მე არ მითქვამს, ეს იმის ბრალია, რომ რაღაც-რაღაცები მოხდა. ამიტომ იყო, რომ ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა ჩემს განცხადებას.

– ანუ თქვენ არ გისაუბრიათ პროცენტულ რაოდენობაზე რაც ჟვანიას ორგანიზმში იყო?

– არა მე არ მითქვამს. მე ვისაუბრე, უბრალოდ, კლინიკურ სურათზე სისხლში კარბოქსინ-ჰემოგლობინის. დასაშვებ ნორმებზე, უბრალოდ, ზოგადად ვისაუბრე. მე არ მითქვამს და არ მიხსენებია სასიკვდილო დოზა. რა უფლება მქონდა, მეთქვა.

– სასიკვდილო დოზა არ ყოფილა?

– არა, არ ყოფილა და არც მე მითქვამს.

– თუ გახსოვთ, ვინ გთხოვათ, გამოსულიყავით და კომენტარი გაგეკეთებინათ?

– არ ვიცი, არ მახსოვს.

მართალია, მარიამ ავალიძემ თავად ვერ ან არ გაიხსნა, როგორ მოხვდა კამერებთან, მაგრამ, სანამ ქალბატონ მარიამს შევხვდებოდ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალიარება

მარინა ავალიძე

ძიება და მა პასუხი

ით, მისი და ჩვენთან საუბარში აცხადებდა, რომ ბუნდოვანი განცხადებები სიჩქარით იყო გამოწვეული. კერძოდ კი, მარიამ ავალიძის დის ინფორმაციით, ექსპერტს აიძულებდნენ ჟურნალისტებთან გასვლას. თუმცა, ვინ აიძულებდა, ეს დალი ავალიძისთვისაც უცნობია.

– ქალბატონო დალი, არ ფიქრობთ, რომ თქვენი დის მიერ გაკეთებული კომენტარი ბუნდოვანი იყო?

– იქ იყო ისეთი სიტუაცია, რომ ჩქარა, ჩაქრა... აბა, გაატანეთ ახლა საზღვარგარეთ და როდის მოვა პასუხები... აქ კი, ჩქარა, ჩქარა და აი, მაგიტომაც იყო. მე სხვა არაფერი ვიცი. დამთავრდეს გამოძიება და ყველაფერს გაეცემა პასუხი.

ვინ ახდენდა ზეწოლას ექსპერტზე და რატომ უარყოფს დღეს მარიამ ავალიძე 10 წლის წინათ გაკეთებული განცხადების შინაარსს და რატომ ფიქრობს, რომ მისი ინტერვიუ ჟურნალისტების მიერაა დამახინჯებული. ამ კითხვებს პასუხს, სავარაუდოდ, პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება გასცემს. სადაც ნათელი მოეფინება სახელმწიფო ექსპერტის მიერ გამოთქმულ ეჭვებს მისი სიტყვების დამახინჯებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მის მიერ ნახსენებ ფედერალური ბიუროს დასკვნას, რომელშიც თბილისის ლაბორატორიისგან განსხვავებული მონაცემები დაფიქსირდა და ჟვანიას სისხლში გაზრდილი იყო კარბოქსინ-ჰემოგლობინის პროცენტული რაოდენობა, თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ ეს კიდევ ერთხელ აყენებს ეჭვქვეშ „ეფბიაის“ ორაზროვან დასკვნას. ამ დასკვნაში, ერთი მხრივ, საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგებს ეჭვქვეშ არ აყენებენ, მეორე მხრივ კი, საბურთალოს კონსპირაციულ ბინაში მათივე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად, დადგინდა, რომ პრემიერ-მინისტრისა და გუბერნატორის მოადგილე ნახშირბად-მონოქსიდით არ უნდა გარდაცვლილიყვნენ, რადგანაც ოთახში ჟანგბადის რაოდენობა 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე დაეცა, რაც ლეტალურ შედეგს ვერ გამოიწვევდა – სიკვდილს 10 პროცენტის ქვევით დაცემა იწვევს.

ორი პოლიციელის მკვლელს კიდევ ერთი მკვლელობა აქვს შეკვეთილი

ხათუნა მგალობლიშვილი

პირველი შემთხვევა, როცა ოპოზიცია ხელისუფლებას არ ადანაშაულებს ქაოსსა და დესტაბილიზაციაში. ახლა ოპოზიციაში მყოფი პროდასავლური და პრორუსული ძალები ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს. პროდასავლური ძალები დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელობების უკან სწორედ რესეთისადმი ლოიალურად განწყობილი ძალები დგანან, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა ქაოსის გზით სურთ. და პირიქით, პრორუსული ძალები ირწმუნებიან, რომ ნაცებს არჩევნების გზით გამარჯვების შანსები არ აქვთ, ამიტომაც როგორც ერთხელ უკვე მოაწყვეს რევოლუცია, ახლაც ცდილობენ, მკვლელობებით სერიოზული პოლიტიკური მიწისძვრა შექმნან და ვერტიკალი დაიპყრონ.

ჯერ კიწმარიშვილის, შემდეგ ვაზაგაშვილის, მოგვიანებით ხარძიანის, ახლა კი პოლიციელების მკვლელის უკან ერთნი ნაციონალებს ხედავენ, მეორენი კი – პრორუსებს.

„პრაიმტაიმს“ ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შალვა აბულაძეს, რომელსაც პოლიციის მკვლელობის საქმეზე ეძებენ, კიდევ ერთი პირი ჰყავს შეკვეთილი და ის ამ მკვლელობისთვის ემზადება. იყვნენ „მოხალისეები“, რომლებიც ამბობდნენ, რომ შემდეგი თვითონ არიან, სხვები არ გამორიცხავენ, რომ ეს იყოს ჟურნალისტი ან პოლიტიკოსი. აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ის აუცილებლად უნდა იყოს ვიღაც ისეთი, რომლის მკვლელობა ემოციურ ტალღას შექნის.

პრორუსული ძალებიდან ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ტერაქტები გაგრძელდება. ამ თემაზე „პრაიმტაიმმა“ განმარტება მისი პარტიის ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ახვლედიანს სთხოვა. ახვლედიანი მიიჩნევს, რომ დესტაბილიზაციის კერა შესაძლოა, პანკისის ხეობა გახდეს.

– ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც უფრო ნაკლებად პასიური იქნება ხელისუფლება და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს პროცესებს, რომელიც იგივე პანკისის ხეობაში, ან ისლამური სახელმწიფოს მიმართულებით მოხალისეების გადასვლით ვლინდება, მით უფრო მეტი საფრთხე დაემუქრება ქვეყანას. მით უფრო, რომ კეთდება განცხადებები და არის ეჭვი, რომ აღნიშნული პროცესები არა სპონტანური, არამედ ორგანიზებული ხასიათისაა.

– ვინ შეიძლება იყოს ორგანიზატორი?

– რა თქმა უნდა, კონკრეტული მტკიცებულებები არ შემთხვევაში არ მაქვს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოდან ჯერ თურქეთში და შემდეგ სირიაში გადასვლას, სულ მცირე, რამდენიმე ასეული დოლარი სჭირდება, ადვილი მისახვედრია, რომ 16-17 წლის ბავშვებს ეს თანხები ასე მარტივად არ მოეპოვებათ. უკვე 450 ადამიანამდეა ასული მათი რიცხვი, ვინც ასეთი გზით გადავიდა და ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა დაიწყო. ეს საქართველოსთვის ძალიან სერიოზული საფრთხის შემცველი პროცესების წინაპირობაა. სახელმწიფოს ისე უჭირავს თავი, თითქოს საქართველოს წინაშე მსგავსი პრობლემა არ დგას. ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი შორს არის და არა საქართველოში, არამედ სადღაც სხვაგან ხდება. რეალურად კი ჩვენ ყველას ძალიან კარგად გვახსოვს ისლამური სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ პრიორიტეტებში, სად და როგორ აპირებდნენ გარკვეული გავლენების განხორციელებას. ამ ჩამონათვალში კავკასიაც ფიგურირებდა, ამიტომ ეს ნამდვილად არ არის სახუმარო საქმე. ე.წ. მუსლიმანური სახელმწიფოს ორგანიზაცია თავის პროგრამაში, თავის ხედვებში რასაც მოიაზრებს, პირდაპირპროპორციულადაა საფრთხის მატარებელი ჩვენი ქვეყნისთვის. მათი იდეებისა და მიზნების განხორციელება თუ დაიწყო, ტერორისტულ აქტებსა და მძიმე პროცესებს კავკასია ვერ გადაურჩება და მათ შორის საქართველო. ამიტომ საქართველოს მხრიდან პოზიციების დაფიქსირება პრევენცია იქნებოდა, ამის ნაცვლად კი გადამსვლელთა რიცხვი უფრო იზრდება და დიდი ეჭვები არსებობს და შემიძლია, მეც დიდი ალბათობით ვთქვა, რომ ეს ყველაფერი კონკრეტული ძალების მიერაა ორგანიზებული.

– ორგანიზებული იმისთვის, რომ ქაოსი და ტერორისტული აქტები მივიღოთ შედეგად?

– ვერანაირად ვერ დავინყებ იმ გეგმების პროგნოზირებას, რომელიც შეიძლება ამ კონკრეტულ ტერორისტულ ორგანიზაციას ჰქონდეს. თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ მათ განცხადებაში იყო ძალიან კონკრეტული ინტერესის სფერო მითითებული – მათი სახელმწიფოს გავრცელების არეალში ხვდება კავკასია, კავკასია კი საქართველოს გარეშე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი ძალიან სერიოზული საფრთხის მატარებელია. მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც დღეს საქართველოში თავისუფლად შეგიძლია „დაავერბოვკო“ ახალგაზრდები, გადაისროლო ისინი ტერორისტულ ორგანიზაციაში და, სავარაუდოდ, გასამრჯელოც მიიღოს ვიღაცამ ამ ყველაფერში. ეს ქვეყნისთვის სერიოზული საფრთხის მატარებელია.

შალვა აბულაძე

რა ინფორმაცია მიაწოდეს „პრაიმტაიმს“ და ვის ინტერესებში შედის არეულობა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აქვს თუ არა კანონიერი უფლება ერთსქე

EXCLUSIVE

მარი წერეთელი: „უარის თქმის საფუძველი არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ გეი წყვილი მშვილებლად დარეგისტრირდება“

ხათუნა მგალობლიშვილი

2009 წლიდან დღემდე საზღვარგარეთ სულ თორმეტი ბავშვია გაშვილებული. სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მარი წერეთლის განცხადებით, ბავშვების უმეტესობის გაშვილება ნათესაური ნიშნით მოხდა, ყველა დანარჩენზე კი პასუხისმგებლობა ჰეტერწყვილებისგან შემდგარმა ოჯახებმა აიღეს. არსებობს გაცილებით ძველი სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, 2003 წელს უცხოელებმა 150 ქართველი ბავშვი იშვილეს, 2004 წელს – 39, 2005 წელს – 17 ბავშვი, 2006 წელს – 9 ბავშვი, 2007 წელს – 5, ხოლო 2008 წელს – 7 ბავშვი. თითოეულ მათგანზე პასუხისმგებელი სახელმწიფო და ის ოჯახია, რომელმაც თავის თავზე აიღო მათი აღზრდა. უცხოელი მშობელი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ გამოგზავნოს ფოტომტკიცებულება, რომ ბავშვი კარგად და ჯანმრთელად არის. ვალდებულება ბავშვის ზრდასრული ასაკის დადგომისთანავე წყდება.

საერთაშორისო გაშვილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და „შვილად აყვანისა და მინდობითი აზრდის შესახებ“ კანონი არეგულირებს. პროცესი და მოთხოვნები საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. ბევრ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად უცხოელმა მშვილებელმა უნდა წარმოადგინოს მეუღლის თანხმობა, თუ ბავშვი შვილად ერთ-ერთ მეუღლეს აჰყავს; ქორწინების მოწმობის ასლი, თუ, რა თქმა უნდა, იმყოფება ქორწინებაში და უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული კვლევა მშვილებელ ოჯახზე. საქართველოს მხრიდან არ არსებობს შეზღუდვა და არც დაკონკრეტებულია, რომელი ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ ან პირიქით, ეკრძალებათ მშვილებლად დარეგისტრირების უფლება, შესაბამისად, კანონით შეზღუდვა არ ვრცელდება, მაგალითად, ნიდერლანდებში დაქორწინებულ მეუღლეებზე. ნიდერლანდების კანონმდებლობით კი, მეუღლეებად ითვლება როგორც ქალისა და მამაკაცის, ასევე გეი წყვილიც.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

– საკითხს არეგულირებს ორი კანონი. ერთი – ეს არის სამოქალაქო კოდექსი და მეორე – კანონი შვილად აყვანისა და მინდობითი აზრდის შესახებ. ორივე კანონი მშვილებლის სტატუსს ანიჭებს ნებისმიერ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხოელი. თუმცა სამოქალაქო კოდექსი ოდნავ განსხვავებულ და მნიშვნელოვან რეგულაციას იძლევა ოჯახის მიერ შვილის აყვანასთან დაკავშირებით: მეუღლეებს, რომლებიც სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებიან, შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ, მაგრამ არ შეიძლება ერთი ბავშვი იშვილოს ორმა პირმა, რომლებიც ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებიან. შესაბამისად, ქვეყნებში, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებას კანონიერად მიიჩნევენ, ერთსქესიან წყვილს მეუღლეებს უწოდებენ. თუ ასეთი ოჯახი საქართველოში მშვილებლად დარეგისტრირდება, ისინი ჩაჯდებიან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ იმ რეგულაციაში, რომელიც ამბობს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ, ბავშვი ერთად იშვილონ.

– თუმცა ჩვენთან ტერმინში – „მეუღლეები“ და „ოჯახი“ იშიფრება, როგორც ქალი და მამაკაცი, ამ შემთხვევაში ერთმანეთთან იურიდიულ წინააღმდეგობაში არ მოვა ეს ფაქტები?

– არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება, რადგან ქორწინება და მისი სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ქორწინების რეგისტრაცია დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი არის იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც ქორწინება მოხდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ამბობს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ, განმარტება ვრცელდება როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. „მეუღლეებად“ კი, მაგალითად, სინგაპურის შემთხვევაში შეიძლება ერთსქესიანი წყვილიც ჩაითვალოს. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის დაკონკრეტებული, რომ აუცილებელია მაინცდამაინც საქართველოში რეგისტრირებული ქორწინებით მოხდეს განსაზღვრა. თუმცა როგორც ქართველებისთვის, ასევე უცხოელებისთვისაც „პრობლემად“ რჩება ის შემთხვევა, როდესაც ქორწინება არ არის რეგისტრირებული. ამ შემთხვევაში სამართლებრივად ბავშვის მშვილებელი და უკვე შემდგომ მშობელი გახდება წყვილიდან ერთ-ერთი, ხოლო მეორე წყვილთან ბავშვს სამართლებრივი კავშირი არ ექნება. ვთქვათ, თუ ერთსქესიანი წყვილი არარეგისტრირებულ ქორწინებაშია, ერთად ცხოვრობს და რომელიმე მათგანი მოინდომებს საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანას, სწორედ ის გახდება მშობელი, თუკი მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება, რა თქმა უნდა. როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე შვილად აყვანის შესახებ კანონი უპირატესობას ანიჭებს ბავშვისთვის საუკეთესო პირობების შერჩევას და პირდაპირ განსაზღვრავს: ბავშვის გაშვილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ბავშვსა და მშვილებელს შორის შესაძლებელი იქნება, ჩამოყალიბდეს ისეთივე ურთიერთობა, როგორიც ბავშვსა და ნამდვილ მშობელს შორის. ბუნებრივია, ეს იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე, ერთსქესიან წყვილს ვგულისხმობ, გეტყვით, რომ ჯანდაცვის სამინისტროს აქვს საშუალება, იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენად შეესაბამება აღნიშნული შემთხვევა ბავშვისთვის საუკეთესო პირობებს...

– უცხოელების მიმართ დადგენილ მოთხოვნებში ერთ-ერთი მოთხოვნა არის „შესაბამისი ორგანოს მიერ ჩატარებული მშვილებელი ოჯახის კვლევა“. თუ ამ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უცხოელი მშვილებელი ერთსქესიან წყვილთან ცხოვრობს, ამ შემთხვევაში როგორ იმოქმედებს კანონი?

– თუკი წყვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, ეს არ არის ოჯახი. ამ შემთხვევაში სამართლებრივი პროცედურები ვერ განხორციელდება და კონტროლის ეფექტური მექანიზმიც არ არსებობს. ორი ადამიანი ერთად თუ ცხოვრობს, ეს მათი უფლებაა და ეს ადმინისტრაციული წესით გადამწმებადი ფაქტი არ არის. როდესაც შემოწმებასა და კვლევაზეა საუბარი, აქ საცხოვრებელი პირობების შემოწმება იგულისხმება. ბუნებრივია, მოხდება შესწავლა მთლიანად იმ გარემოსი, სადაც ბავშვმა უნდა იცხოვროს გაშვილების შემდეგ და საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ ბავშვის ინტერესების დაცვით უნდა მოხდეს, რამდენად დაცული იქნება ბავშვის უფლებები იმ გარემოში, სადაც ის იცხოვრებს.

კანონის მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს უფლება აქვს, არატრადიციული ორიენტაციის მქონე წყვილის, ან არატრადიციული ორიენტაციის მქონე მარტოხელა მშვილებლის მოთხოვნა განიხილოს და უარი უთხრას, თუმცა არა ორიენტაციის გამო. ეს დისკრიმინაციად ჩაითვლება, რაც კანონით დასჯადია. შესაბამისად, გამოდის, რომ საქართველოს კანონით უცხოეთში დაქორწინებულ ერთსქესიან წყვილებს ბავშვის აყვანა არ ეკრძალებათ. თუმცა, როგორც სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, მსგავსი ფაქტი ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ეს ვერაფრით გახდება უარის თქმის მიზეზი. მარი წერეთლის განცხადებით, საქართველო არის ქვეყანა, სადაც დისკრიმინაცია მიუღებელია...

მარი წერეთელი, სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

– თუ ბავშვი საქართველოში რვა თვის განმავლობაში არ გაშვილდება, შესაძლებელია, მოხდეს მისი საერთაშორისო გაშვილება?

– მოთხოვნების სიაში, რომელიც უცხოელი მშვილებლის მიმართ არის განკუთვნილი, მითითებულია ქორწინების მოწმობა, თუმცა, როგორც ვიცით, მარტოხელა მშობელსაც შეუძლია, რომ მოგმართოთ?

– დიახ, მარტოხელა უცხოელ მშობელსაც შეუძლია საქართველოდან შვილის აყვანა.

– ვინც მარტოხელა მშობლის სტატუსით მოგმართავთ, მოწმდება, ერთსქესიან პარტნიორთან ხომ არ იმყოფება ურთიერთობაში?

– როდესაც მშობელი მარტოხელაა, ის მეგობარს ოფიციალურად ვერ დაარეგისტრირებს. შეიძლება ჰყავდეს ადამიანს თავისივე სქესის მეგობარი, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ

ლევან ალაფიშვილი: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ამბობს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ, ბავშვი ერთად იშვილონ... „მეუღლეებად“ კი, მაგალითად, სინგაპურის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ერთსქესიანი წყვილიც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სიან წყვილს, იშვილოს ქართველი ბავშვი

სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელი: „გამორიცხულია, საქართველოში ერთსქესიანმა წყვილმა სუროგატი დედა აიყვანოს. როგორც ვიცი, იყო მსგავსი შემთხვევა და სწორედ ამაზე მიმდინარეობდა დავა და ძიება“...

ქორწინებაში იმყოფებოდეს.

– და ერთსქესიანთა წყვილმა რომ მოგმართოთ, ჩვენი კანონმდებლობა როგორ მუშაობს?

– იცით, კანონით არ აქვს აკრძალული გეიწყვილს, რომ მშვილებლად დარეგისტრირდეს. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც არანაირ დისკრიმინაციას არ ვახდენთ.

– ანუ ნებადართულია?

– უარის თქმის საფუძველი არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ გეი წყვილი მშვილებლად დარეგისტრირდება. თუმცა დარეგისტრირება არ ნიშნავს, რომ წყვილი აუცილებლად იშვილებს ბავშვს, მთელი რიგი პროცედურებია გაწერილი. იმასაც გეტყვით, რომ აქამდე მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

– უცხოელზე გაშვილების შემთხვევაში ვალდებულება არსებობს, რომ, სანამ ბავშვი სრულწლოვანი გახდება, მისი მდგომარეობა აკონტროლოთ...

– დიახ, ასეა და აუცილებლად გვიგზავნიან ყველანაირ მონაცემს.

– ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთსქესიან ოჯახში მოხვედრილა მარტოხელა მშობლის მიერ აყვანილი ბავშვი?

– არა, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

მარი წერეთლის სანინაალმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ ინტერნეტსივრცეში, სადაც კონკრეტული მოქალაქეები ფაქტებს ასახელებენ, თუ როგორ ხდება ქართველი ბავშვების უცხოელ ერთსქესიან წყვილებზე გაშვილება, გაყიდვა და სხვა მიზნებისთვის გამოყენებაც. ერთ-ერთი ასეთი ბრალმდებელი გოჩა კელენჯერიძეა, რომელიც ირწმუნება, რომ მას დანაშაულის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვს, თუმცა „პრაიმტაიმის“ კითხვაზე: დაასახელოს კონკრეტული დამნაშავეები, ან ბავშვები, რომლებიც გაშვილდნენ, უარს აცხადებს და გვპასუხობს, რომ დაინტერესების შემთხვევაში მზად არის, შესაბამის უწყებებთან ითანამშრომლოს.

გოჩა კელენჯერიძე: „ათასობით ქართველი ბავშვი გაიყიდა ვითომ გაშვილების წესით. გაშვილებული ქართველი ბავშვების ბედი უცნობია – მყიდველებმა ისინი შვილობისთვის იყიდეს, რიტუალებისთვის თუ მათი ორგანოების გამოსაყენებლად, არავინ იცის... თავის დროზე საქართველოს ელჩმა ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილმა თვითონ მოისმინა ქართველი ბავშვებით მოვაჭრე მხარის მიერ, როგორ გაიყიდა ქართველი ბავშვი ესპანეთში 33 ათას დოლარად. ჩემ მიერ გაჟღერებული ეს ორგანიზებული დანაშაული თავიდან არასერიოზულად იქნა აღქმული საქართველოს ოფიციოზისგანაც და ამის გამო დაიწყო ჩემი ლანძღვაც და მუქარებიც.. ახლა კი საქართველოს პროკურატურამ უკვე განაცხადა, რომ ბავშვების გაყიდვის ფაქტი დაუდასტურებიათ და როგორც ხდება საქართველოში – აგრძელებენ ძიებას... ქართველი ბავშვები იყიდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და ამ ე.წ. გაშვილების უკანონო პროცესში უცხოელები იხდიდნენ რამდენიმე ათიათასობით დოლარს. მაქვს კონკრეტული მონაცემები ესპანეთის მაგალითზე, რისი გამოყენებითაც შესაძლებელია კონკრეტული მისამართების, დამნაშავეების მოძიებაც, მაგრამ ეს ინფორმაცია არის სუფთა ოპერატიული სახის და ის მხოლოდ სამართალდამცველთათვის შეიძლება იყოს გადაცემული“.

საერთაშორისო გაშვილებამდე უპირატესობა კანონით ქართველ მშვილებელს ენიჭება. გაშვილებაზე განაცხადის დადებიდან რვა თვის განმავლობაში თუ ვერ გაშვილდება ბავშვი, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება უცხოელებისთვის მისი შეთავაზება. შვილად აყვანის მსურველთა რიცხვი კი საკმაოდ დიდია. ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად სია მინიმუმ 500 მსურველით იზრდება და შესაბამისად, წყვილებს წლობით უნევთ ლოდინი...

„მე თავად ვარ მოწმე, როგორ ელოდა ორი წელი კანადელი წყვილი ბავშვს საქართველოში, ბავშვთა სახლიდან რომ აეყვანა. ბავშვს იცნობდნენ და სისტემატურად დადიოდნენ მასთან სანახავად, თანაც საჩუქრებით“

თუმცა ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც უცხოელმა წყვილმა პირადი კონტაქტებით მოიძია ახალშობილი და საბუთების მოგვარებამდე მომავალი შვილი, ბავშვთა სახლის ნაცვლად, კონკრეტულ ოჯახს მიაბარა. ბუნებრივია, ეს კანონდარღვევაა, რომელიც ამ შემთხვევაში ბავშვთა სახლმა დაუშვა.

„ჩვენ შორის ფორმდება ნოტარიულად, სადაც წერია, რომ ყველანაირი ურთიერთობა მთავრდება, როგორც კი ბავშვი დაიბადება“

ნანა: „სამი დღის ჩვილი მომიყვანეს და წელიწადი და ორი თვე გავზარდე საკუთარ შვილთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ეს ბავშვი ჩემთან არ დარჩებოდა, მაინც თავისთავად მოხდა ისე, რომ ზუსტად საკუთარი შვილივით მიყვარდა. როცა ჩემგან წაიყვანეს, დიდხანს მქონდა ჩვეულებრივად შვილის დაკარგვის სტრესი. უცხოელებმა იშვილეს, მაგრამ საბუთების მოწესრიგების პროცესი გაუწელეს საქართველოში და სანამ ეს ყველაფერი მოგვარდებოდა, ბავშვთა სახლში რომ არ ყოფილიყო, ეს ბავშვი ჩემთან ცხოვრობდა, მე მყავდა, როგორც ძიძას. თავდაპირველად, შეთანხმებით, 2-3 თვე უნდა მყოლოდა, მაგრამ გაიწელა და წელიწადი და 2 თვე ვზრდიდი. ბოლოს დედას მეძახდა უკვე“.

უცხოელებთან ქართველი ბავშვის მოხვედრის მეორე გზა სუროგაციაა. იურისტების განცხადებით, არ არის გამორიცხული, საქართველო „სუროგაციის ოფშორად ან სუროგაციის ტურიზმადაც ჩამოყალიბდეს“. ამის მიზეზი კი კანონმდებლობაა. სხვა ქვეყნებში სუროგაციით დაბადებულ ბავშვს იმ ქვეყნის მოქალაქეობა არ ენიჭება, რაც ბავშვის მშობლებისთვის სერიოზული პრობლემაა, საქართველოში კი სუროგაციით გაჩენილ ბავშვს მოქალაქეობა ავტომატურად ენიჭება. გარდა ამისა, საქართველო უცხოელებისთვის მიმზიდველია მომსახურების ფასიდან გამომდინარე. თუ, მაგალითად, ამერიკაში სუროგატი დედის „მომსახურება“ წყვილს ასი ათასი დოლარი უჯდება, საქართველოში მეოთხედ ფასად შეძლებს შვილის გაჩენას, თანაც გარანტირებულად, რადგან „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 143-ე მუხლის თანახმად, სუროგატ დედას ბავშვის დატოვების უფლება არ აქვს. ეს იგივეა, რომ ადამიანმა სხვის შვილზე განაცხადოს პრეტენზია.

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა თბილისში მოქმედი სუროგაციის ერთ-ერთი ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც საკუთარი სახელისა და გვარის გასაჯაროებისგან თავი შეიკავა. ამ კონკრეტულ ცენტრს სხვადასხვა ეროვნების 70-მდე სუროგატი დედა ჰყავს და მომართვიანობის რაოდენობაზე საუბრისას აცხადებს, რომ ყველაზე მეტ უცხოელ მსურველს ებრაელები წარმოადგენენ.

ქალბატონის განცხადებით, კანონი ერთსქესიან წყვილებთან თანამშრომლობას უკრძალავს, თუმცა, მისივე ინფორმაციით, საქართველოში ერთხელ უკვე დაფიქსირდა მსგავსი კანონდარღვევა...

თბილისში მოქმედი სუროგაციის ერთ-ერთი ცენტრის ხელმძღვანელი:

– ძალიან ბევრი უცხოელი მომართავს საქართველოს, ვინაიდან მათ ქვეყანაში ან აკრძალულია კომერციული სუროგაცია, ან საოცრად ძვირი ღირს. ჩვენთან კი გაცილებით ხელმისაწვდომია და გარდა ამისა, რაც მთავარია, კანონით დაშვებულია სუროგაცია.

– შეგიძლიათ, თანხა დაგვისახელოთ?

– მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ასი ათას დოლარზე მეტი ღირს, ხოლო საქართველოში, მთლიანი პროცესი, მშობიარობის ჩათვლით, 25 ათასი ამერიკული დოლარი.

– ხშირად მოგმართავთ უცხოელი მსურველი?

– ძალიან ხშირად, პროცენტულად, 50/50-ზეა ქართველი და უცხოელი მსურველები, ძალიან ბევრი ებრაელი პაციენტი გვყავს.

– თუ მოუმართავთ ერთსქესიან წყვილებს?

– საქართველოში კანონით არის აკრძალული ერთსქესიან წყვილებთან მუშაობა, კანონით ისჯება ეს და გამორიცხულია, საქართველოში ერთსქესიანმა წყვილმა სუროგატი დედა აიყვანოს. როგორც ვიცი, იყო მსგავსი შემთხვევა და სწორედ ამაზე მიმდინარეობდა დავა და ძიება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იდენტიფიცირებულნი არიან იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც არასრულწლოვანზე ძალადობდნენ“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

ბულინგი დღევანდელ რეალობაში სერიოზული პრობლემაა. არასრულწლოვან მოზარდებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა უფროსი ან საკუთარი ასაკის ბავშვების მხრიდან წარმოუდგენელ შედეგებამდე მიდის. სწორედ ბულინგის მსხვერპლი გახდა 12 წლის ნიკა ჩალაბაშვილი ძველი ანაგიდან, რომელმაც ორიოდე კვირის წინ კლასელების მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

ბულინგის ფაქტებს სახალხო დამცველის აპარატმა ბოლო ანგარიშში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო და ბევრი კონკრეტული ფაქტიც მოიყვანა, თუმცა 12 წლის ს.მ.-ს შემთხვევაში ბულინგით დაწყებული დაძაბულობა საბოლოოდ ჯგუფურ გაუპატიურებაში გადაიზარდა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, შემთხვევა კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა – არასრულწოვანზე კლასელების და უფროსკლასელების მხრიდან სექსუალური ძალადობა ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. სახალხო დამცველმა საქმის წარმოება, საკუთარი ინიციატივით, 2014 წლის 12 ნოემბერს დაიწყო. მათი განცხადებით, დანაშაულის იდენტიფიცირება პასუხისმგებელი უწყებებისა და პირების მიერ დროულად ვერ მოხდა. ფაქტის დაფიქსირების შემდეგ საქმეზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და ბრალდებულის სტატუსი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ პირს მიენიჭა.

სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია არასრულწლოვნის მდგომარეობის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს მიაწოდა, რომელსაც, თავის მხრივ, დაზარალებული გოგონას რეაბილიტაცია უნდა უზრუნველეყო, თუმცა აპარატის ხელმძღვანელის მოადგილის, პაატა ბელთაძის განცხადებით, არ მომხდარა არც ძალადობის მსხვერპლის ფსიქოსოციალური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი და არც შემდგომი რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

პაატა ბელთაძე, სახალხო დამცველის მოადგილე:

– შემთხვევა მოხდა ერთ-ერთ რეგიონში, როდესაც არასრულწლოვან სკოლის მოსწავლეზე თანაკლასელები და უფროსკლასელები სისტემატიურ სექსუალურ ძალადობას ახორციელებდნენ, იყო ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს გამოძიება. შესაბამისად, იდენტიფიცირებულნი არიან იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც ძალადობას სჩადიოდნენ. ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაკეთდა ჯანდაცვის სამინისტროს მისამართით, სწორედ მათ უნდა მოეხდინათ ბავშვის შემდგომი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, უნდა გამოეყოთ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და ამას უნდა ჰქონოდა განგრძობითი ხასიათი. ჩვენი მონაცემებით, დღეის მდგომარეობით აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა ჯანდაცვის სამინისტრომ. ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართეთ

პაატა ბელთაძე: „არასრულწლოვან სკოლის მოსწავლეზე თანაკლასელები და უფროსკლასელები სისტემატურ სექსუალურ ძალადობას ახორციელებდნენ“

უწყებას რეკომენდაციით, რომ ამ და ყველა მსგავს შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდეს ვალდებულება იმისა, რომ განახორციელოს ინტერვენციები, ბავშვის ინტერესის დაცვა რომ მოხდეს.

– რამდენად ხშირად ფიქსირდება ძალადობის მსგავსი ფაქტი?

– მოზარდთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით უნდა იყოს განხილული. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი ხდება ძალადობის მსხვერპლი საკუთარ ოჯახში, სკოლაში, თანაკლასელების მხრიდან. ე.წ. ბულინგის შემთხვევები ძალიან ხშირია და სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უფრო ქმედით ნაბიჯებს უნდა მიმართოს, რათა მოხდეს მსგავსი შემთხვევების პრევენცია. მომხდარ შემთხვევებზე უნდა გატარდეს ყველა ადეკვატური ღონისძიება, რომ მსგავსი შემთხვევები მინიმუმამდე შემცირდეს. ამისთვის საჭიროა არამხოლოდ საკანონმდებლო ნორმების გამართულობა, აქტიური კამპანიების განხორციელება, ძალადობის წინააღმდეგ საგანგებო სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნულ დოკუმენტზე მიმდინარეობს მუშაობა და დახვეწა, იმედი მაქვს,

რომ აღნიშნული სტრატეგია ძალადობის წინააღმდეგ იმუშავებს. 2014 წელს საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისგან დაცვის კონვენციაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია და კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება ბევრად ადრე მოახდინა, ვიდრე სახალხო დამცველის აპარატი რეკომენდაციით მიმართავდა, თუმცა გოგონას მშობლებმა დახმარების მიღებაზე უარი განაცხადეს.

მარი წერეთელი, სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

– სახალხო დამცველის ანგარიშში არ არის მინიშნება, კონკრეტულად რომელ შემთხვევაზეა საუბარი, თუმცა, ჩემი ვარაუდით, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც 12 წლის გოგონაზე უფროსკლასელების მიერ სექსუალური ძალადობა ხორციელდებოდა. ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში მოქმედებს რეფერირების დოკუმენტი, რომელშიც ჩართულია განათლების, შინაგან საქმეთა სამინისტროები და სოციალური მომსახურების სააგენტო. სამივე სუბიექტს აქვს ვალდებულება, რომ ძალადობის შემთხვევაში მოხდეს ფაქტის შესახებ შეტყობინება. რეფერირების ფარგლებში შეტყობინება აღნიშნული ფაქტის შესახებ ჩვენთან დროულად არ შემოსულა არც სკოლიდან და არც მეორე სუბიექტიდან. თუმცა სანამ სახალხო დამცველი მოგვმართავდა, ჩვენ გავიგეთ აღნიშნული ფაქტის შესახებ და სოციალური მუშაკი შეხვდა ოჯახს და დახმარება შესთავაზა. ბავშვს ჰყავს კანონიერი წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ თავად უზრუნველყოფდნენ ბავშვის რეაბილიტაციას და, სამწუხაროდ, ჩვენთან კონტაქტი არ დაამყარეს. ვიცი, რომ აღნიშნული საქმე ძიებაშია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის ამბულატორიული ცენტრი

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

ჩვენი სერვისები

- სრული გეგმიური ამბულატორიული მომსახურება
- მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები

ჩვენი უპირატესობები

- პაციენტსა და მის უსაფრთხოებაზე ორიენტაცია
- პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები
- ISO 9001:2008 საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ლაბორატორია
- მომსახურების თანამედროვე სტანდარტები

„თბილისის ამბულატორიული ცენტრი" არის ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ამბულატორიული ცენტრი. კორპორაცია დღეისათვის მართავს 39 კლინიკას ქვეყნის 6 რეგიონში.

ვაჟა-ფშაველას გამზირი 40 | +995 32 2 55 05 05 | info-evex@evex.ge | www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ აღმოჩნდა სამი შვილის დედა ნარკოტიკებზე დამოკიდებული?

„უცებ მეგობრებისგან, ნათესავებისგან სრულიად გარიყული აღმოვჩნდი. შევეშვი ხატვასაც, რომელიც ჩემი გატაცება იყო“

მირიან ბოქოლიშვილი

36 წლის მაკა ზ. სამი შვილის დედაა. 19 წლიდან ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია. მაკა ინტერვიუზე მხოლოდ იმ პირობით დაგვთანხმდა, რომ მის იდენტიფიცირებას არ მოვახდენდით. მას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში შევხვდით. მაკა ბოლო ორი წელია მეტადონის პროგრამაში ზის. ნარკოტიკები მის ფსიქიკასა და გარეგნობაზეც აისახა, თუმცა გვეუბნება, რომ ადრე გაცილებით ლამაზი და მომხიბვლელი იყო, ნარკოტიკებმა კი მისი ცხოვრება კოშმარად აქცია. წამლის გამო შვილებთან ურთიერთობაც გაწყვიტა, სამი პატარა ხანდაზმულ დედას დაუტოვა და თავად ქუჩის ცხოვრებით ცხოვრობდა, ხშირად უწევდა ბრძოლა ნარკოტიკებისთვის საჭირო ფულის საშოვნელად. კერძო მევახშეები, ბანკები, ლომბარდები და ზოგჯერ დანაშაულიც კი მის ყოველდღიურობად იქცა.

მაკა ზ.:

– სამი ბავშვი მყავს, მაგრამ შვილებთან დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობა არ მქონია. უფრო სწორად დედის მოვალეობებს არ ვასრულებდი. მათ ბებია ზრდიდათ ძირითადად, მე კი ჩემი პრობლემებით ვიყავი დაკავებული. 24 საათი მარტო წამალზე ვფიქრობდი. ამის გამო დიდი ვალები დამედო და დღესაც სერიოზული პრობლემები მაქვს მევალეებთან, მიუხედავად იმისა, რომ წამლის საშოვნელად ქუჩაში აღარ მიწევს სირბილი. უცებ მეგობრებისგან, ნათესავებისგან სრულიად გარიყული აღმოვჩნდი. შევეშვი ხატვასაც, რომელიც ჩემი გატაცება იყო, დღესაც ვოცნებობ გამოფენის გაკეთებაზე. მოკლედ, საშინელი დღეები მაქვს გამოვლილი, ჯარიმებიც გადამიხდია ნარკოტიკების მოხმარების გამო.

– როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

– მაშინ ისეთი პერიოდი იყო, უბანში ბიჭების უმრავლესობა წამალს იკეთებდა. მე ბავშვობიდანვე უფრო ბიჭებთან ვმეგობრობდი. სულ ერთად დავდიოდით, ერთად ვეწეოდით სიგარეტს... ჩემი მეგობარი მამაკაციც ამ წრიდან იყო, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობა მქონდა. პირველად მან გამასინჯა ნარკოტიკი, შემდეგ, ფული რომ არ ჰქონდა, მე მთხოვდა. მაშინ ჩემს ოჯახს არ უჭირდა... მთელ ფულს წამლის საყიდლად ვხარჯავდით, ერთად ვიკეთებდით... ასე, ნელ-ნელა მთელი სახლი დავაცარიელე, თუკი რაიმე ოქროული გაგვაჩნდა, ყველაფერი გავყიდე. ახლა ძალიან მრცხვენია, ბევრ ჩემს ახლობელს, მათ შორის დედასაც, თვალებში ვერ ვუყურებ... საბედნიეროდ, რაღაც შეიცვალა და იმედი მაქვს, საბოლოოდ ყველაფერი დალაგდება. მე ცოცხალი ვარ, მაგრამ ჩემი სამეგობროდან უამრავი ადამიანი შეიწირა ნარკოტიკმა.

– მეტადონის პროგრამაში ჩართვა რატომ გადაწყვიტე?

– იმიტომ, რომ ასე გაგრძელება აღარ შემეძლო. საკუთარი თავი მეზიზღებოდა. ადრე ვერ ვბედავდი, მაგრამ ორი წლის წინათ გადავწყვიტე ამ პროგრამაში ჩართვა, ახლა ნელ-ნელა ვუბრუნდები ადრინდელ ცხოვრებას, ვცდილობ, ბავშვებთანაც გამოვასწორო ურთიერთობა. ვნახოთ, რა იქნება. იქნებ გამოფენის გაკეთებაც მოვახერხო და „პრაიმტაიმსაც“ მოგიწვევთ აუცილებლად. პორტრეტებს ვხატავ, უკვე 234 პორტრეტი მაქვს შესრულებული.

– მჯერა, რომ ყველაფერი გამოგივა...

– ღმერთმა ქნას. ძალიან მეხმარება ეს პროგრამა, ამიტომ მადლობა მინდა გადავუხადო ნარკომანიის ცენტრს. ჩემნაირი ადამიანებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მაკა საქართველოში ერთადერთი ნარკოდამოკიდებული ქალბატონი არ გახლავთ. მხოლოდ მეტადონის პროგრამაში 30 ქალია ჩართული, თუმცა ცხადია, სტატისტიკურად მამაკაცების რაოდენობა გაცილებით დიდია. როგორ უნდა მოხვდეს ნარკოტიკების მომხმარებელი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ან 30 ქალია

ზემოხსენებულ პროგრამაში და რა უჯდება სახელმწიფოს ერთი ნარკოდამოკიდებულის მკურნალობა? ამის გასარკვევად ჩვენ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალურ დირექტორს, ლაშა კილაძეს ვესაუბრეთ:

– დღეის მდგომარეობით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამაში ჩართულია 2200-მდე ბენეფიციარი, პარალელურად „გლობალ ფონდის“ მიერ დაფინანსებულ პროგრამაში 600-ზე მეტი ბენეფიციარი მკურნალობს, ანუ, საბოლოო ჯამში, 2800-მდე ბენეფიციარზეა საუბარი მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ შორის არიან ქალბატონებიც. არსებული მონაცემებით, მეტადონის პროგრამაში 30 ქალია ჩართული.

– რამდენად ეფექტურია ეს პროგრამა?

– ფაქტობრივად, 3000-მდე მომხმარებელს აღარ უწევს ყოველდღიური სირბილი იმისთვის, რომ ნარკოტიკული შიმშილი მოიკლას, მათ შეუძლიათ, ცივილიზებულად მივიდნენ და მიიღონ მეტადონი, ეს თავისთავად უზარმაზარ პოზიტიურ სოციალურ დატვირთვას ატარებს. ამ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ამ პროგრამამ ჩამოაშორა კრიმინალურ სფეროს. რაც შეეხება ზიანის შემცირებას ჯანმრთელობის კუთხით, მინდა გითხრათ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, თავიდან არის არიდებული ისეთი რისკები, რომელიც შიდსსა და ინფექციური გზით გადამდებ სხვა დაავადებებს უკავშირდება.

– ზედოზირების შემთხვევები რამდენად ხშირია?

– ძალიან ხშირად „პერედოზირების“ დროს თავს არიდებდნენ სასწრაფოს გამოძახებას ან შესაბამის სტაციონარში გადაყვანას, რადგან სამედიცინო პერსონალი ვალდებული იყო, მომართვის შემთხვევაში, შეტყობინება გაეკეთებინა პოლიციაში. დღეს ეს კანონი შეცვლილია და მედიკოსი აღარ არის ვალდებული, პოლიციას აცნობოს. ამის გათვალისწინებით, მიმართვიანობა გაიზარდა. გაზრდილი მიმართვიანობის შემთხვევაშიც კი „პერედოზირებით“ გარდაცვლილთა მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მაგალითად, თუ 2007 წელს „პერედოზირებით“ 39 ადამიანი გარდაიცვალა, 2014 წელს გარდაცვალების მხოლოდ 6 ფაქტი დაფიქსირდა.

– რა პროცედურების გავლაა იმისთვის საჭირო, რომ ადამიანი მეტადონის პროგრამაში მოხვდეს?

– უპირველეს ყოვლისა, მან უნდა გამოხატოს ამის სურვილი, ადამიანი უნდა იყოს ობიოდურ ნარკოტიკებზე დამოკიდებული, რაც მოიცავს ჰეროინს, დეზომორფინს და სხვა მსგავსი ტიპის ნარკოტიკულ საშუალებებს. შესაბამისი სურვილისა და სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ ობიოდურ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანს შეუძლია მეტადონის პროგრამაში ჩაერთოს.

– რაც შეეხება ფინანსურ საკითხს... რა უჯდება სახელმწიფოს ერთი ნარკოდამოკიდებულის მკურნალობა?

– ეს თანხა შეადგენს თვეში დაახლოებით 215 ლარს, 50 პროცენტს სახელმწიფო აფინანსებს, ნაწილის გადახდა კი თანადაფინანსებით ხდება, თუმცა თანადაფინანსება არ ეხება სოციალურად დაუცველ კატეგორიას, ასევე, შიდსით დაავადებულ პირებს. გარდა ამისა, თბილისის მერია გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს უნაზღაურებს თანადაფინანსების თანხას. საბოლოო ჯამში კი, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანების დაახლოებით 35 პროცენტს თანადაფინანსება არ უწევს.

ვის ჯიბეში მიდის ახლო აღმოსავლეთიდან პანკისის ხეობაში შემოსული შავი ფული?

„ცხადია, ეს არის შავი ფული, მაგრამ ეს თანხები ოფიციალურად იგზავნება, როგორც ჰუმანიტარული დახმარება სოციალურად გაჭირვებული მუსლიმანებისთვის“

მირიან ბოქოლიშვილი

ამ თვის დასაწყისში პანკისის ხეობიდან ორი არასრულწლოვანი გაუჩინარდა. სოფელ ომალოს საჯარო სკოლის მე-11 და მე-10 კლასის მოსწავლე ბიჭები სირიაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად წავიდნენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად უკვე 50-მდე ახალგაზრდაა წასული, ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე კი ამბობს, რომ საქართველოდან სირიაში დაახლოებით 200-მდე მებრძოლი წავიდა, მსხვერპლთა რაოდენობა კი საკმაოდ მზარდია.

რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო ამ პროცესის შეჩერებას, მაშინ, როდესაც საქვეყნოდ ცნობილია, რომ იქ ჩასული ახალგაზრდები ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვიან, რომლის ერთ-ერთი ლიდერი პანკისის ხეობის მკვიდრი, 29 წლის თარხან ბათირაშვილი, იგივე ომარ ალ შიშანია. ვის ჯიბეში მიდის ახლო აღმოსავლეთიდან პანკისის ხეობაში შემოსული შავი ფული? ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ამის აღსაკვეთად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, მხოლოდ შს ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, საჭიროა სოციალური პროგრამები, განათლების სამინისტროს აქტიური ჩართვა... ეს არის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო. მაშინ, როდესაც ამაზე ვლაპარაკობდით, ხელისუფლება ყურს არ გვიგდებდა.

– ფინანსურ ინტერესებზე რას იტყვით?

– ფინანსები არ არის გადამწყვეტი. ახალგაზრდების უმეტესობა ერაყსა და სირიაში ფულის გამო არ მიდის საომრად. ისინი, პირველ რიგში, თავისი იდეალებისთვის იბრძვიან, მათ თავი აქვთ გამოტენილი ამ იდეალებით. სწორია თუ არა ეს იდეალები, ეგ სხვა საკითხია. მუჯაჰედობის ინსტიტუტის პროპაგანდას ფართოდ ეწევიან ხეობაში მყოფი ის ადამიანები, ვინც განათლება მიიღეს ახლო აღმოსავლეთში. მათ აქვთ ხალხის დარწმუნების უნარ-ჩვევები, კარგად იცნობენ ყურანს. მათი ქადაგების ძირითადი იდეა სუფთა ისლამთან დაბრუნება, მისთვის ბრძოლა და სიკვდილია. ეს პროპაგანდისტები იმდენად კარგად არიან მომზადებულნი, რომ ახალგაზრდების უმეტესობა მათი გავლენის ქვეშ იმყოფება.

– რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე მათი გამოვლენა?

– იმიტომ, რომ შევარდნაძის პერიოდში ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, სააკაშვილის დროს პირიქით, ვაჰაბისტები აქციეს ხეობაში მთავარ დასაყრდენ ძალად. უშიშროების სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ ვაჰაბისტების მეშვეობით უფრო იოლია სიტუაციის კონტროლი და საჭირო შედეგების მიღება, თუნდაც არჩევნების დროს. ამის ნაცვლად ვაჰაბისტების ხელში გადავიდა პანკისის ხეობაში არსებული ბიზნესები, მათ შორის ხე-ტყის ბიზნესი. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია, რომ ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული ფული, ხშირ შემთხვევაში ნაწილდებოდა არა მხოლოდ ადგილობრივ სალაფიტ ლიდერებს შორის, არამედ საქართველოს უშიშროების თანამშრომლებს შორისაც. ამაზე თავად ადგილობრივები საკმაოდ ხშირად საუბრობენ.

– გინდათ თქვათ, რომ პანკისის ხეობაში შავი ფული შემოდიოდა, რომლის ნაწილი უშიშროებაში მიდიოდა?

– რასაკვირველია. თუ საკითხს კარგად შევისწავლით, ცხადია, ეს არის შავი ფული, მაგრამ ეს თანხები ოფიციალურად იგზავნება, როგორც ჰუმანიტარული დახმარება სოციალურად გაჭირვებული მუსლიმანებისთვის. სურათი ასეთია: ახალგაზრდები მიდიან სირიაში საბრძოლველად, ის ხალხი კი, ვინც ახლო აღმოსავლეთიდან შემოსულ ფულს ინაწილებს, ადგილზე რჩება.

– ანუ ფიქრობთ, რომ საჭიროა ფინანსური წყაროების გადაკეტვა?

– ეს არის ერთ-ერთი აუცილებელი ღონისძიება იმ პაკეტიდან, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა გატარდეს.

– ქვეყნისთვის რამდენად საფრთხის შემცველია, როდესაც საქართველოს მოქალაქეები მიდიან სირიაში და იბრძვიან ტერორისტული ორგანიზაციის – „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს?

„ახალგაზრდები მიდიან სირიაში საბრძოლველად, ის ხალხი კი, ვინც ახლო აღმოსავლეთიდან შემოსულ ფულს ინაწილებს, ადგილზე რჩება“

– ქვეყნისთვის საფრთხის შემცველობა მინიმალურია. იქით მიდიან, აქეთ ხომ არ მოდიან. მეორე მხრივ, უკან ეს ადამიანები სრულიად სხვა ფსიქოლოგიით დაბრუნდებიან. ისინი სახიფათონი ხდებიან საზოგადოებისთვის.

– უკან დაბრუნების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას აქვს თუ არა ვალდებულება, რომ ეს ადამიანები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს?

– მაგას ვერ დაუმტკიცებ. ავტომატით შეიარაღებული უკან არავინ ბრუნდება. თითოეულ მათგანს თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ ის სამუშაოდ იმყოფებოდა თურქეთში. სხვათა შორის, რიგ შემთხვევაში მათ ამის დამადასტურებელი საბუთებიც კი წარმოადგინეს. ასე რომ, ძალიან რთულია ამ ქსელთან ბრძოლა. ამას სჭირდება სერიოზული და კარგად გარკვეული ხალხი.

– ბოლო მონაცემებით, სულ რამდენი ახალგაზრდაა წასული სირიაში საბრძოლველად?

– ზუსტ ციფრს ვერავინ გეტყვით, რადგან ეს მაჩვენებელი მუდმივად იცვლება. ჩვენი ვარაუდით, ეს არის დაახლოებით 200 ადამიანი, მათგან უკვე გარდაცვლილია 11 ახალგაზრდა.

– რამდენად სერიოზულია საუბარი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე?

– გამორიცხულია. ვის წინააღმდეგ უნდა ჩატარდეს ეს ოპერაცია?! ეს პირიქით, უფრო შეკრავს იქაურ მორწმუნეებს. როდესაც 2000 წლის დასაწყისში ჩატარდა ანტიტერორისტული ოპერაცია, მაშინ იქ ყველა იარაღით დადიოდა და მთელი პანკისის ხეობა ნარკოტიკების გასაღების ბუდეს წარმოადგენდა. დღეს ასეთი სიტუაცია აღარ არის. საჭიროა იდეოლოგიური მუშაობა, თორემ სროლა და „ბეტეერების“ შეყვანა ყველას შეუძლია. რატომღაც მხოლოდ პანკისის ხეობის თემა ფიგურირებს, არადა, ამ მხრივ, ყველაზე სახიფათო სწორედ აჭარის რეგიონია. იქ გაცილებით მწვავედ დგას ეს პრობლემა, აჭარიდან გაცილებით მეტი ხალხი იბრძვის სირიასა და ერაყში ტერორისტების მხარეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დუტას უფროსი ქალიშვილი გერმანიიდან შეყვარებულთან ერთად ჩამოდის

„მამა სულ მეკითხება, როდის ჩამოხვალთო? პასკალსაც აინტერესებს საქართველო, უნდა ნახოს, სად გავიზარდე და ამ ზაფხულს ერთად გვინდა ჩამოსვლა“

„მამიკოს გოგოს“ მეძახის“

„90-იან წლებში დიდი სიყვარულით შექმნილი სხვა ბევრი ოჯახიც დაინგრა. დედამ და მამამ, ალბათ, ცხოვრებისეულ მკაცრ გამოცდებს ვერ გაუძლეს. ისინი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ...“

my View
თამარ გონგაძე

„მოენატრა მამასა“ – დუტამ თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა და უფროსი ქალიშვილი მონიშნა პოსტზე. ფრაზას თან მარიამის ფოტოც ერთვის. ამ ერთმა, მამური სიყვარულით გაჟღენთილმა ფრაზამ მარიამის ჩანერის იდეა გამიჩინა. გერმანიაში მცხოვრები გოგონა ჩემ გამოწვევას სოციალურ ქსელში უმალ გამოეხმაურა და ინტერვიუზეც დამთანხმდა.

22 წლის მარი დუტას პირველი ქორწინებიდან ჰყავს. ირმა გველესიანი მსახიობის პირველი ცოლი გახლდათ. 11 წლის იყო გოგონა, როდესაც დედა-შვილი საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. ირმა მარტინ ბუშმანს გაჰყვა ცოლად და ორი შვილიც გაუჩნდა. ის ახლა მეორე ქმრის გვარს ატარებს.

მარი სტუდენტია, ტექნოლოგიური კონსტრუქტორის პროფესიას ეუფლება, პარალელურად მსახიობობს. ეს მსახიობ მამას უხარია, თუმცა ამას შვილთან მოზომილად გამოხატავს თურმე. მარი შეყვარებულია და მამას ძალიან სურს ქალიშვილის გერმანელი რჩეულის გაცნობა. პასკალსაც აინტერესებს საქართველო და ამ ზაფხულს ჩამოსვლასაც გეგმავენ. მაშ ასე, მარიამ სხირტლაძე „პრაიმტაიმის“ მკითხველს თავის ცხოვრებაზე უყვება.

მარიამ სხირტლაძე:

– გერმანია უკვე ჩემი მეორე სამშობლოა. 12 წელია უკვე ფრეიბურგთან ვცხოვრობ. ეს ქვეყანა განათლებისა და უზრუნველი მომავლისთვის ყველანაირ შანსს მაძლევს. სამი წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. მენატრება ჩემი ოჯახი და განსაკუთრებით ჩემი ნორა ბებო. ფრეიბურგის თავისუფალ თეატრში ვთამაშობ. თუ მამასთვის მსახიობობა პროფესიაა, ჩემთვის ჰობია. თეატრში გიმნაზიიდან კასტინგით მოვხვდი. ვამაყობ მამის წარმატებით და იმედი მაქვს, რომ მეც ჩემს პროფესიაში წარმატებული ვიქნები.

– მეგობრობთ შენ და დუტა?

– დიახ, 23 წლის ვხდები და

„თუ მამასთვის მსახიობობა პროფესიაა, ჩემთვის ჰობია“

რაც ჩვენს მამაშვილობას წლების წინ დააკლდა, ახლა მეგობრობით ვივსებთ. თქმა არ უნდა, რომ მამა-შვილს ერთმანეთი გვენატრება.

– რას გეძახის ხოლმე?

– „მამიკოს გოგოს“ მეძახის.

– როდესაც საქართველოში ჩამოდიხარ, რას ნახულობ ყოველთვის?

– მე და მამა ერთმანეთს ვუთანხმებთ, რაც ორივესთვის საინტერესოა. უფრო მეტ დროს ოჯახს და ახლო მეგობრებს ვუთმობ ხოლმე.

– დუტას როლებიდან რომელს გამოყოფ?

– პატარაობიდან მიყვარს მისი სპექტაკლების როლები. მიყვარს მამას მიერ შესრულებული პირველი კინოროლი „გარიგებაში“, სადაც ჩემზე უმცროს მამას ვხედავ.

– რას ამბობს შენს სამსახიობო გატაცებაზე?

– არ გაჰკვირვებია, გაუხარდა, თუმცა ზედმეტად არ შეუმჩნევია. სტუდენტობის შემდეგ ჩემს ძირითად პროფესიას მინდა მივხედო. თუ დრო დამრჩება, თეატრსაც მივხედავ.

– რაიმე სათავგადასავლო არ გადაგხდენიათ ერთად?

– საამისოდ იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს. ერთხელ აეროპორტში ძალიან დავაგვიანეთ და რასაც ჰქვია, ჰაერში აწეულ თვითმფრინავს გავეკიდე. დამშვიდობებაც ვერ მოვასწარით.

– დედაზე გვიამბე.

– დედაზე ყველაფერი რომ გითხრათ, ეს ერთი ინტერვიუ არ გვეყოფა. დედა ჩემთვის ორჯერ დედაა. პროფესიით ისტორიკოსია. გერმანიაში ძალიან გამოადგა მუსიკალური განათლება. ჩემი პატარა დის მეგობრებს ამეცადინებს. ირმა ბუშმანმა (გველესიანი) გერმანიაში თავისი მომავალი ჩემს მამობილს, მარტინს დაუკავშირა, რომელმაც მე აქ მამის მაგივრობა ღირსეულად გამიწია. ის დღემდე ჩემ გვერდით დგას. მყავს და-ძმა, 11 წლის კატარინა და 8 წლის ალექსანდრე.

– მშობელთაგან რომელიმესთვის არ გიკითხავს, რატომ გაიყარნენ?

– 90-იან წლებში დიდი სიყვარულით შექმნილი სხვა ბევრი ოჯახიც დაინგრა. დედამ და მამამ, ალბათ, ცხოვრებისეულ მკაცრ გამოცდებს ვერ გაუძლეს. ისინი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ...

– შეყვარებული ხარ?

– დიახ, შეყვარებული ვარ. მე და პასკალი ორ წელზე მეტია ერთად ვართ. ისიც ამჟამად სტუდენტია. ის ჩემს ოჯახს ძალიან უყვარს. ჩვენ ერთმანეთს ყველაფერში ხელს ვუწყობთ.

– მამას მისი გაცნობა ენდომება...

– დიახ, მამა სულ მეკითხება, როდის ჩამოხვალთო? პასკალსაც აინტერესებს საქართველო, უნდა ნახოს სად გავიზარდე და ამ ზაფხულს ერთად გვინდა ჩამოსვლა.

„23 წლის ვხდები და რაც ჩვენს მამაშვილობას წლების წინ დააკლდა, ახლა მეგობრობით ვივსებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟურნალისტი გია უდესიანს პროკურატურაში უჩივის

„ბესო ხარძიანის მკვლელობით შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო მარტო გია უდესიანი“

მირიან ბოქოლიშვილი

ჟურნალისტმა ნათია მიქიაშვილმა გია უდესიანის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მიქიაშვილი ამბობს, რომ თავის დროზე მან უდესიანის მამხილებელი გადაცემა გააკეთა, რის გამოც გადაცემის ორი ოპერატორი დაატყვევეს. ჟურნალისტი უარყოფს გია უდესიანის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც აწ გარდაცვლილი ბესო ხარძიანი თავის დროზე სწორედ ნათია მიქიაშვილის ქმარმა, სოსო მესხმა დააპატიმრა.

ნათია მიქიაშვილი, ჟურნალისტი:

– ბესო ხარძიანის მკვლელობით შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო მარტო გია უდესიანი. უდესიანი კუთხეში მოყოლილი ადამიანის პოზიციიდან გამოდის. უბრალოდ, სასაცილოა მისი ბრალდება. მე პირველი ჟურნალისტი ვიყავი, რომელმაც მოყვა ის, რაც მაშინ მოხდა. უდესიანი იმდენად შეშინებული იყო, კუს ტბაზეც კი არ ამოდიოდა, არ ჩამწეროსო. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მე ვიქნები ადამიანი, რომელიც უდესიანს დააჭერინებს.

– რა ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა შენი გადაცემა უდესიანის შესახებ?

– მე მქონდა ინფორმაცია, რომ გიორგი უდესიანი რამდენიმე ბიზნესს ერთდროულად ფლობდა. მათ შორის რამდენიმეს უკანონოდ იყო დაუფლებული. ერთ-ერთი ეპიზოდი გახლავთ კუს ტბის ჩამორთმევის ფაქტი. ამავე დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უდესიანი ხელმძღვანელობდა არაფორმალურ ზონდერ-ბრიგადებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი „ანატომიის“ შესწავლა.

– იყო თუ არა რაიმე მუქარა გადაცემის მომზადების დროს, ან მას შემდეგ?

– არა, სერიოზული არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემი ოპერატორები დააკავეს, მათ რამდენიმე საათის განმავლობაში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. სწორედ გამოძიებას ვითხოვ პროკურატურისგან. ამ დღეებში, როდესაც საჯარო განცხადება გავაკეთე ამ ფაქტთან დაკავშირებით, პროკურატურამ ავტომატურად დაიწყო გამოძიება და მეც მივეცი ჩვენება.

ნათია მიქიაშვილი: „ხარძიანი ჩემს მეუღლეს არ დაუჭერია“

– უდესიანი ამბობს, რომ თავის დროზე ბესო ხარძიანი შენმა მეუღლემ დააკავა...

– ეს არის სრული ბოდვა. რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი ყოფილა. მან სხვა სისულელეც თქვა – თითქოს მე ჩემი მეუღლის დაკვეთით გავაკეთე მის შესახებ გადაცემა. მაშინ, 2011 წლის ივლისში, ის არა თუ ჩემი ქმარი იყო, არამედ საერთოდ არ ვიცნობდი და ნანახიც კი არ მყავდა.

– თუმცა იმ პერიოდში სოსო მესხი სოდ-ში ნამდვილად მუშაობდა...

– დიახ, სოდ-ში მუშაობდა, თუმცა ხარძიანის დაჭერასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. უდესიანის განცხადებები კუთხეში მომწყვდეული კაცის პოზიციაა, რომელიც ახლა ჭორაობით არის დაკავებული.

აუდიტის სამ

მირიან ბოქოლიშვილი

„კაბელების საქმეზე“ წინასასამართლო სხდომა 15 აპრილს გაიმართება, თუმცა მანამდე „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულების შინაარსი. საუბარია აუდიტის სამსახურის ექვსპუნქტიან დასკვნაზე, სადაც ნათქვამია, რომ თავდაცვის სამინისტროს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანა საკუთარი რესურსით გაცილებით იაფი დაუჯდებოდა, ვიდრე ეს „სილქნეტთან“ დადებული ხელშეკრულებით დაუჯდა.

როგორც ცნობილია, თავდაცვის სამინისტროში არსებობს საინჟინრო ბრიგადა, სადაც 2000-მდე სამხედრო მსახურობს. ბრიგადის ფუნქციებში ძირითადად სამხედრო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები შედის. გარდა ამისა, არსებობს 200-300-კაციანი სამშენებლო ბატალიონი. მათ თავის დროზე არაერთი სამხედრო-ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელეს. ასევე, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზეა 180 ერთეული მძიმე ტექნიკა (ბულდოზერები, მიწისმჭრელები და სხვ.).

აქედან გამომდინარე, აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ ოპტიკური მაგისტრალის გაყვანა გაცილებით იაფად იყო შესაძლებელი. მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს მთელი ამ უზარმაზარი რესურსის შენახვა ყოველწლიურად ისედაც ათეულობით მილიონი ლარი უჯდება. რატომ არ გამოიყენა თავდაცვის უწყებამ ეს შესაძლებლობები? ამის გასარკვევად ჩვენ „კაბელების საქმეში“ ბრალდებულთა ადვოკატს, **სოსო ბარათაშვილს** ვესაუბრეთ:

– ჯერ ერთი, ეს თემა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს საერთოდ არ ეხება. ეს საკითხი არ ასახულა ბრალშიც, ვინაიდან ტენდერი გამოცხადდებოდა, თუ საკუთარი რესურსით მოხდებოდა მაგისტრალის გაყვანა, ამას ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფები არ წყვეტდნენ. ეს გადაწყდა უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ. თუმცა ამის მიუხედავად, ჩვენს ექსპერტიზის დასკვნაში დათვლილია, რა დაუჯდებოდა თავდაცვის სამინისტროს ეს ყველაფერი, თვითონ რომ გაეკეთებინა. ჩვენი დათვლებით, ამ თანხამ 17 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ჯერ ერთი, ეს ფინანსურად არახელსაყრელი იყო და მეორეც – თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა ის კომპლექსური შესაძლებლობები, რომელიც ამ ყველაფრისთვის იყო საჭირო. აქ საუბარი არ არის მხოლოდ იმაზე, რომ საინჟინრო ბრიგადა გამოიყვანა და თხრილი გააჭრევინო. ამას უნდოდა ძალიან სწორად დაგეგმვა, ვინაიდან მაგისტრალი გადის დასახლებულ პუნქტებზე. ამას სჭირდებოდა გეოდეზიური და გეოლოგიური სამსახური, კავშირგაბმულობის სპეციალისტები და კიდევ ათასი სხვა რამ. ამასთანავე, აპარატურის მოძიება, შესყიდვა და ა.შ. ჩვენი დათვლებით, ეს დაჯდებოდა, საბოლოო ჯამში, 17 მილიონზე მეტი. „სილქნეტთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში კი საუბარია 6 მილიონ 720 ათას ლარზე, დღგ-ს ჩათვლით. რეალურად, ამ ხელშეკრულებით, მილიონები კი არ გაიფლანგა, პირიქით, დაიზოგა.

სოსო ბარათაშვილი

– აუდიტის დასკვნაში, პირველივე პუნქტში წერია, რომ რეალურად იმის შეძენა არ მოხდა, რაც ტენდერის დროს კომპანიებისთვის იქნა შეთავაზებული?

– ამ ფორმულირებას კატეგორიულად არ ვეთანხმებით, ვინაიდან შეთავაზება იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ არც ერთი სიტყვა არ ეწინააღმდეგება იმ შესყიდვას, რაც რეალურად განხორციელდა. ამას ჩვენ სასამართლოშიც დავადასტურებთ და ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაშიც ამაზეა საუბარი.

– დასკვნაში ასევე საუბარია, რომ „სილქნეტმა“ პრაქტიკულად უკონკურენტოდ მოიპოვა სახელმწიფო დაკვეთა...

– ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მოწვეული იყო ყველა კომპანია, მათ შორჩევის ოქმზე ხელი აქვთ მოწერილი. „სილქნეტმა“ წარადგინა ყველაზე უფრო იაფი წინადადება, რამაც მასთან ხელშეკრულების გაფორმება გამოიწვია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ნერია თორდიას უნყების საიდუმლო დასკვნაში?



თავდაცვის სამინისტროს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანა საკუთარი რესურსით გაცილებით იაფი დაუჯდებოდა

EXCLUSIVE

სოსო ბარათაშვილი: „აუდიტის სამსახურმა პროკურატურის დაკვეთა შეასრულა“

სამინისტროს უკონკურენტოდ რომ ნდომოდა ვინმესთვის უპირატესობის მინიჭება, მას კანონმდებლობით აქვს შესაძლებლობა, რომ ტენდერი საერთოდ არ გამოაცხადოს და პირდაპირი მოლაპარაკების გზით გააფორმოს ხელშეკრულება.

– თუმცა, იგივე აუდიტის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ შპს „სპეკავშირმშენს“ გაცილებით იაფად შეეძლო ამ დაკვეთის შესრულება...

– ეს არის სრული სიცრუე, რადგან, ჯერ ერთი, ეს კომპანია უფრო ძვირ პირობებს სთავაზობდა სამინისტროს და გარდა ამისა, იმ კონკრეტული მიმართულებით მას არ აქვს არც ერთი მეტრი გაყვანილი, რაც შეღავათის მომენტს საერთოდ გამორიცხავდა. მათ საერთოდ პირველად უნდა განეხორციელებინათ აღნიშნული სამუშაოები იმ კონკრეტული მიმართულებით.

– ლაშა თორდიას უწყების მიერ ჩატარებული მოკვლევით ირკვევა ისიც, რომ თავდაცვის სამინისტრომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 5 მილიონი ლარის გამოყოფა მოითხოვა უძრავი ქონების შესყიდვის მიზნით, საბოლოოდ კი გაირკვა, რომ „სილქნეტთან“ დადებულ ხელშეკრულებაში სულ სხვა შესყიდვაზე იყო საუბარი...

– ის, თუ რა ეწერა ხელშეკრულებაში, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც გადაწყვეტილება მიიღო ამ თანხის გამოყოფაზე. დოკუმენტი ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა მთავრობის სხდომაზე. კანონით სწორედ ფინანსთა სამინისტროს ევალებოდა ამ ხელშეკრულების გაცნობა და მთავრობისთვის წარდგენა.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ, რატომ არ მოხდა თავის დროზე პარლამენტის ნდობის ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდება? სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ეს საკითხიც მოხვდა...

– ეს საკითხი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ბრალად საერთოდ არ ედებათ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ უფლებამოსილნი პარლამენტის ნდობის ჯგუფისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ, თუმცა თქვენს კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია – ინფორმაციის მიწოდება მოხდა დაგვიანებით, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ნდობის ჯგუფი 2014 წლის 14 მაისს შეიქმნა, ანუ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ. შესაბამისად, არარსებულ ნდობის ჯგუფს ინფორმაციას ვერ მიაწვდიდნენ. პრაქტიკულად აუდიტის სამსახურმა პროკურატურის დაკვეთა შეასრულა. ძალიან ვწუხვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ისევე იყენებს ამ სამსახურს, როგორც წინა ხელისუფლება იყენებდა.

„კაბელების საქმეზე“ ამ სამართლებრივი ომის პარალელურად, არანაკლებ აქტუალურია პოლიტიკური ბრძოლის ფრონტი. ირაკლი ალასანია თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავებას საფრანგეთში თავდაცვითი შეიარაღების შესახებ მემორანდუმის ხელმოწერას უკავშირებს. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ივანიშვილ-ღარიბაშვილს დასავლური კურსის შეცვლის მცდელობაში ადანაშაულებს, მმართველი გუნდი კი ამბობს, რომ ბოლო პერიოდში ალასანიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯები საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს. ამ აზრს იზიარებს ექსპერტთა ნაწილიც.



ვახტანგ მაისაია

ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:

– მე ამ კავშირს ჯერ კიდევ ადრე ვხედავდი, როდესაც თავდაცვის მინისტრობის დროს პოლიტპატიმრების მიმართ, განსაკუთრებით რეპრესირებული სამხედროების მიმართ საკმაოდ ცივი დამოკიდებულება დაიკავა. ის ამ საკითხშიც იზიარებდა წინა ხელისუფლების სულისკვეთებას. მაგალითად, მისი შეფასებები იგივე მუხროვანის ამბოხებასთან დაკავშირებით, საკმაოდ საეჭვოდ ემთხვეოდა „ნაციონალური მოძრაობის“ შეფასებებს. იგივე შეიძლება ითქვას მის გუნდზე, მაგალითად, ალექსი პეტრიაშვილზე, რომელიც ანალოგიურ განცხადებებს აკეთებდა. ამიტომ მე დღეს საერთოდ არ მიკვირს, რომ ირაკლი ალასანია იმეორებს „ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯებს. ეს ლოგიკურია. მე მაინც იმედი მაქვს, რომ მისი განცხადებები ემიჯნება „ნაციონალური მოძრაობის“ კურსს, ფორმალურად მაინც, და უფრო მაღალ დონეზე იქნება აყვანილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

თამუნა მუსერიძე

მერსი

სოფია სებისკვერაძე

დავით ქაცარავა

ქეთი ორჯონიკიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ნატალია ქუთათელაძე

სალომე ბაკურაძე

ნატალია ქუთათელაძე და დათუნა ალადაშვილი

სოფო ნიჟარაძე

თამუნა ნიკოლაძე

ნატო მეტონიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

● რა კავშირი აქვს გიორგი გამცემლიძის საქმესთან ვაჟა ფანჩულიძეს, რომელიც დღეს საავტომობილო გზების დეპარტამენტში მოადგილის პოსტს იკავებს?

● საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ვაჟა ფანჩულიძეს ამ საქმის დეტალები მასში ნაკლები ჩართულობის გამო არ ახსოვს

● წაუყენებენ თუ არა ახალ ბრალს როსტომ ლაზარიას, რომელიც ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს?

თამარ ივანიაძე

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ყოფილ მოადგილეს როსტომ ლაზარიას, რომელიც სასამართლომ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, გირაოს სანაცვლოდ, ცოტა ხნის წინ გაათავისუფლა, გამორიცხული არ არის, ახალი ბრალი წარუდგინონ, ამჯერად გამცემლიძის საქმესთან დაკავშირებით.

ლაზარია, ბიუროში გადაყვანამდე, გამომძიებლად მუშაობდა, გიორგი გამცემლიძის მკვლელობის საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა. გიორგი გამცემლიძე 2008 წლის 8 მაისს თბილისში, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ვახტანგ აბუაშვილმა მოკლა. აბუაშვილის მიმართ საქმე თავიდან სისხლის სამართლის 114 მუხლით აღიძრა, რაც დამნაშავის დაკავებისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით მკვლელობას გულისხმობს. შემდეგ კვალიფიკაცია შეიცვალა და საბოლოოდ აბუაშვილი 116 მუხლით - გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისთვის გაასამართლეს. გამცემლიძის საქმემ საქართველოს სამივე ინსტანცია მოიარა, ბოლოს ის სტრასბურგის სასამართლომაც განიხილა, რომელმაც აღნიშნული საქმის ხელახალი გამოძება მოითხოვა.

როგორც „პრაიმტაიმს“ 2008 წელს მოკლული გიორგი გამცემლიძის დედამ ექსკლუზიურად განუცხადა, ლაზარია პროკურატურაში ცოტა ხნის წინ დაკითხვაზე იმყოფებოდა. მისი ინფორმაციით, გამოძიება გამცემლიძის საქმესთან დაკავშირებით, ნივთმტკიცების დაკარგვის ფაქტით დაინტერესდა.

გულიკო გამცემლიძე:

- ჩემი შვილის საქმის ყოფილი გამომძიებელი როსტომ ლაზარია დაკითხეს და მიმდინარეობს მოკვლევა ნივთმტკიცების დაკარგვაზე, საქმე გარკვევის პროცესშია.

ლაზარიამ დამიკარგა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ჩემი შვილის სათვალე. ამაზე მაშინვე შევიტანე გენერალურ ინსპექციაში განცხადება. ლაზარიასთვის ამის გამო ან საყვედური უნდა გამოეცხადებინათ, ან მოეხსნათ თანამდებობიდან.

მან ახლა დაკითხვაზე განაცხადა, რომ სათვალე ექსპერტიზის ბიუროში დაიკარგა და ამაზე საყვედური მიიღო. მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა მას საყვედური უნდა მიეღო, ლაზარია დააწინაურეს, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს.

ლაზარიას, რომელიც ჩემი შვილის საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა, პირდაპირ ვადებ ხელს იმაშიც, რომ მან არათუ დაკარგა ნივთმტკიცება, არამედ გააყალბა საქმე. ლაზარიამ თვე-ნახევარში „გამოიძია“ ჩემი შვილის საქმე. მის მიერ დაკითხული ორი პოლიციელის ჩვენება, რომლებიც შემთხვევის ადგილზე მკვლელობის შემდეგ მივიდნენ, კარნახითაა დაწერილი, ზუსტად ერთნაირი ჩვენებები აქვთ დაწერილი. ამ ორი პოლიციელის შემდეგ კიდევ ორი პოლიციელი, რომლებიც ასევე მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, გამომძიებელმა დავით ძნელაშვილმა დაკითხა და მათი ჩვენებებიც ასევე ზუსტად ერთნაირია, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენებები მათაც კარნახით დააწერინეს. “,- ამბობს გამცემლიძე.

გიორგი გამცემლიძის დედას კითხვები აქვს ვაჟა ფანჩულიძესთანაც, რომელიც ახლა საავტომობილო გზების დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებს, 2008 წელს კი თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი იყო.

„კითხვები მაქვს ვაჟა ფანჩულიძესთანაც, იმიტომ რომ ერთადერთი რეალური მოწმე, ჩემი შვილის საქმეში, ოთარ თენეიშვილი, რომელიც არასაიმედო მოწმედ მიიჩნიეს, მან დაკითხა. დაკითხვა იქვე, მკვლელობიდან რამდენიმე წუთში მოხდა. თენეიშვილი ამბობს, რომ მისი დაკითხვა არც უნდოდათ და მან თავად იაქტიურა, რომ დაეკითხათ.

აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართლოზე მას დამატებით კითხვები დაუსვეს, სადაც ისაუბრა, რომ დაინახა, როგორ დააგდეს იარაღი ავტოფარეხის სახურავზე და ა.შ. ამის შემდეგ მას ჰკითხეს, რატომ არ თქვა ეს ყველაფერი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში, რაზეც განაცხადა, რომ იმ დროს მისთვის ეს კითხვები არ დაუსვამთ და რაც ჰკითხეს, იმაზე უპასუხა“,-ამბობს გამცემლიძე.

გიორგი გამცემლიძის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება

„მათ სურდათ, თენეიშვილი ამოეგდოთ როგორმე საქმიდან, რადგან თენეიშვილი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა ეზოში არ მომხდარა და გიორგი გადმოვარდნილია სახურავიდან. მაშინდელ პროკურატურას კი შემთხვევის ადგილის გაყალბება სურდა. ამტკიცებდნენ, რომ მკვლელობა ეზოში მოხდა. ეს იმიტომ, რომ გამართლება ჰქონოდა პოლიციელის მხრიდან იარაღის სროლის ფაქტს, ამისთვის მათ ბნელი ადგილი სჭირდებოდათ. გარეთ, ქუჩა ყველამ ვიცით, რომ განათებულია, ამტკიცებდნენ, რომ ეზოში ბნელოდა. თუმცა თენეიშვილი იმასაც ამბობს, რომ რეალურად ეზოც განათებული იყო, ასე რომ, პოლიციელ აბუაშვილს, რომელმაც გიორგის ესროლა, იარაღი არც ეზოში უნდა ამოეღო“,-ამბობს გულიკო გამცემლიძე.

გამცემლიძის ინფორმაციით, თენეიშვილის დამუშავებას აქტიურად ცდილობდნენ, რომ მას სასურველი ჩვენება მიეცა. რესპონდენტი აღნიშნულში მისი შვილის საქმის პროკურორს ჯონი მაჭარაშვილს ადანაშაულებს და „პრაიმტაიმთან“ საუბარში ერთ-ერთი სასამართლო სხდომიდან კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებს.

„ერთ-ერთ სხდომაზე თენეიშვილმა პირდაპირ მიმართა მაჭარაშვილს, განა თქვენ არ მითხარით, რომ ეს ასე უნდა ვთქვა?

მაჭარაშვილი ერთხელ მაკდონალდსში შემხვდა შვილებთან ერთად, სადაც გიორგის ბავშვი მყავდა მიყვანილი. ლუკმა ყელში გაეჩხირა, რომ დამინახა“,-ამბობს გამცემლიძე.

გულიკო გამცემლიძემ „პრაიმტაიმთან“ მოსამართლეებზეც ისაუბრა. გარდაცვლილის დედა იხსენებს, რომ სასამართლო პროცესების განმავლობაში ერთადერთი ადამიანი ვისგანაც თანაგრძნობას ხედავდა, პირველი ინსტანციის მოსამართლე ეკა გაბრიჩიძე იყო, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ამის მიუხედავად გაბრიჩიძე იმას აკეთებდა, რასაც ავალებდნენ. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად კი კონკრეტული ფაქტის შესახებ გვიყვება:

„ვგრძნობდი, რომ გაბრიჩიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ადამიანურად შეწუხებული იყო, უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა. პირველი სასამართლოს შემდეგ ინტერვიუ მივეცი, მაშინ ეკა გაბრიჩიძემ დაურეკა ჩემს ადვოკატს და უთხრა: „დიდი მადლობა, რომ არ მახსენეთ, თქვენ იცით, რომ მე სხვა შესაძლებლობა არ მაქვს“,- თქვა, რომ ვერაფერს შეცვლიდა, იმიტომ რომ ასეთი სისტემა იყო. სხვათა შორის ლევან ბაჩიაშვილია მისი მეუღლე, რომელიც ახალაიას საქმის პროკურორია, თავდაპირველად გამიკვირდა ეს რომ შევიტყვე, შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გაბრიჩიძეს ნამდვილად ჰქონდა ჩემ მიმართ თანაგრძნობა“,-ამბობს გამცემლიძე.

„ჩემი შვილის საქმის ყოფილი გამომძიებელი როსტომ ლაზარია დაკითხეს და მიმდინარეობს მოკვლევა ნივთმტკიცების დაკარგვაზე“

გულიკო გამცემლიძე დარწმუნებულია, რომ მის შვილს განზრახ ესროლეს და პოლიციელ აბუაშვილს ტყვია შემთხვევით არ გავარდნია.

„აბუაშვილი, რომელმაც ჩემს შვილს ესროლა, პირველად ადგილზე დავით ჩხოტუამ დაკითხა, სადაც ჩხოტუას უთხრა, რომ გიორგის იცნობდა. ჩხოტუა დღეს ამბობს, რომ ეს მართლაც უთხრა აბუაშვილმა, მაგრამ განმარტავს, რომ ეს ნაცნობობა გამომდინარეობს იქიდან, რომ გიორგის სწრაფი სიარული უყვარდა და აქედან ჰყავდა შემჩნეული აბუაშვილს.

მე კი მაქვს ძველი ჩანაწერი, სადაც ჩხოტუა მეუბნება, რომ აბუაშვილი ადასტურებს გიორგისთან ნაცნობობას, რომელსაც მეგობრულ ნაცნობობას ვერ დაარქმევ, რაღაც პირადული ჰქონდათო ამბობს. საერთოდ გიორგი არ იყო კონფლიქტური, აბუაშვილზე კი პოლიციაში ამბობენ, რომ იმპულსური იყო. ასე რომ, მას, ალბათ, ჰქონდა რაღაც პირადული გიორგისთან“,- ამბობს გულიკო გამცემლიძე.

2008 წელს მოკლული გიორგი გამცემლიძის გახმაურებული საქმე, როგორც აღმოჩნდა, ნაკლებად ახსოვს მაშინდელი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებელს და ახლა უკვე საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვაჟა ფანჩულიძეს. „პრაიმტაიმმა“ მასთან ინტერვიუს ჩაწერა სცადა, თუმცა, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესსამსახურში განგვიცხადეს, მას ამ საქმეში ნაკლები ჩართულობის გამო დეტალები არ ახსოვს.

„როგორც ვიცი ძალიან მცირედით იყო ჩართული ამ საქმეში. მას არ სურს ამ საკითხზე საუბარი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო ბევრი წლის წინ... არ არის გასაკვირი, რომ არ ახსოვს კარგად. ის უკვე აღარ მუშაობს იმ უწყებაში და შესაბამისად, არ შეუძლია, რომ პასუხი გაგცეთ.

- რას ნიშნავს ნაკლები შემხებლობა ჰქონდა?

- არ ვიცი, ჰქონდა გარკვეული შემხებლობა, მაგრამ მნიშვნელოვანი არა. შეგიძლიათ იმასთან გაარკვიოთ, ვინც ახლა არის ჩართული ამ საქმეში, ბატონი ვაჟა რამდენად იყო ჩართული ამას რა მნიშვნელობა აქვს ვერ ვხვდები“,- განაცხადა თეა გოცაძემ.

კირკიტაძე უდესიანზე

ხარძიანის მკვლელობამ, ოჯახის შემდეგ, უდესიანი დააზარალა

მაგდა კლდიაშვილი

რას ფიქრობს დავით კირკიტაძე ბოლო დროს მის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებზე: მიიღო თუ არა თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალების“ დაშლაში მონაწილეობა კირკიტაძემ, რა აკავშირებს გია უდესიანთან და სად შეხვდა მიხეილ სააკაშვილს? „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს დავით კირკიტაძე პასუხობს.

- ბოლო დღეების განმავლობაში თქვენი და გია უდესიანის მისამართით ბრალდებები გაისმა, რომ თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალების“ დაშლაში მონაწილეობდით. რეალურად რა მოხდა?

- ეს არის სრული აბსურდი. ერთადერთი, რაზეც ჩემს პასუხისმგებლობას ვგრძნობ და რაზეც მწყდება გული ისაა, რომ საკრებულოში იყო ერთი ადამიანი, რომლის პოლიტიკური კარიერის დასაწყისშიც და შემდგომ წინსვლაშიც მე მიმიძღვის წვლილი. ეს არის მიშა ქავთარაძე, რომელმაც დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე. სხვა ადამიანები, რომლებიც იყვნენ ფრაქციაში, არაფრით ვალდებულები არ იყვნენ ჩემთან. მათ გააკეთეს შეგნებული არჩევანი. ვთვლი, რომ არასწორი არჩევანი გააკეთა, როგორც მიშა ქავთარაძემ, ასევე სხვებმა. ისინი დღესაც ცოცხლები არიან. მათი სახელები და გვარები ყველამ იცის და ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია მათ ჰკითხოს. მესმის იმ ადამიანის, ვინც ეს ბრალდება წამოაყენა. მას მიაწოდეს ეს ინფორმაცია, ეს ადამიანიც გამოვიდა და თქვა პირდაპირ ეთერში. თუმცა უკეთესი იქნებოდა, მანადე იმ ადამიანებთან გადაემოწმებინა, ან ჩემთან. კიდევ ვიმეორებ, რაზეც მწყდება გული, ადამიანი, ვინც დატოვა ფრაქცია ისე, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავს, არის მიშა ქავთარაძე. ეს მოხდა პირველ ოქტომბრამდე. დანარჩენი, ვინ, როდის, როგორ წავიდა ფრაქციიდან, ზრდასრული ადამიანები არიან და თავად გააკეთებენ კომენტარს. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ყველაფერს აეხდება ფარდა.

- რა ურთიერთობა გაქვთ გია უდესიანთან?

- გია უდესიანს ვიცნობ ძალიან დიდი ხანია. მე ვიყავი ქალაქის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი. ის იყო, ერთ-ერთი აიპ-ის ხელმძღვანელი მაშინ. სხვათა შორის, დიღმის მასივში მან კონკრეტული კომპლექსიდან, შეძლო და გააკეთა საკმაოდ ნორმალური სპორტული კომპლექსი იმ დროისთვის. იქიდან მოყოლებული მაქვს მასთან ურთიერთობა, თუმცა ეს იყო რაღაც ეტაპზე. თუ არ ვცდები 2006 წელს, მან დატოვა სახელმწიფო სამსახური და წავიდა უკრაინაში. ამის შემდეგ მასთან არანაირი ურთიერთობა და კონტაქტი არ მქონია. კიდევ ერთხელ, 2008 წელს, საქართველო-რუსეთის ომის დროს, მას შევხვდი რამდენიმეჯერ გორში. ის აქტიურად იყო ჩართული საბრძოლო მოქმედებებში.

- მოკლული ხარძიანის ოჯახმა ბრალდებები სწორედ გია უდესიანს წაუყენა. გჯერათ ამ ბრალდებების?

- პირველ რიგში, მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ხარძიანების ოჯახს. ბესოს ძალიან კარგად ვიცნობდი. ოჯახისა და მეგობრების შემდეგ, თუ ვინმე დააზარალა ამ მკვლელობამ, დაზარალა გია უდესიანი. იქიდან გამომდინარე, რომ მას ხარძიანთან სასამართლო დავა ჰქონდა და, ბუნებრივია, რომ ყველა არაკეთილმოსურნე ისარს მისი მიმართულებით მიმართავდა. ეს გია უდესიანმა იცოდა და აქედან გამომდინარე, მის ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა ბესო ხარძიანის სიცოცხლის ასე დასრულება. დაველოდოთ გამოძიებას. დარწმუნებული ვარ, თუ შესაბამისი ორგანოები ამ შემთხვევაში მაინც იმუშავებენ ნორმალურად, ეს მკვლელობა ძალიან მალე უნდა გაიხსნას.

- რუსთავის ავტობაზრობის თემას უნდა შევეხოთ. უკრაინელი ბიზნესმენები, რომლებიც კუს ტბის ტერიტორიასაც ფლობენ, რუსთავში ავტობაზრობაც აქვთ. მათ მიერ გაისმა ბრალდებები თქვენი მისამართით, რომ ხელოვნურად ხდებოდა მათი ავტობაზრობის ბლოკირება, რომ ადამიანებს მხოლოდ თქვენს მფლობელობაში არსებული ბაზრობით ესარგებლათ და ამის გამო, უკრაინელებმა თავის დროზე, ვანო მერაბიშვილიც კი ჩააყენეს საქმის კურსში...

- მე არავითარი შეხება რუსთავის ავტობაზრობასთან არ მაქვს.

- მაშინ რატომ აქვს საგამოძიებო უწყებას ამასთან დაკავშირებით თქვენთან კითხვები?

- რუსთავის ავტობაზრობასთან დაკავშირებით მათ არ აქვთ შეკითხვები. შეკითხვები აქვთ ორ სპეციტენიკასთან დაკავშირებით. გასაგებად რომ ვთქვათ, გრეიდერთან და ტრაქტორთან, რომელიც იყო გუბერნიის ბალანსზე და მის არამართლზომიერ გამოყენებაზე დაობენ. ეს რომ, აბსურდია და არავითარი მტკიცებულება არ აქვთ, მოწმობს ის ფაქტიც, რომ რვა აპრილს მე უნდა მქონოდა პირველი სასამართლო პროცესი, რის გამოც ჩამოვედი ამერიკიდან. პროკურატურა შევიდა სასამართლოში მოთხოვნით, რომ ერთი თვით გაეხანგრძლივებინათ ვადა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი, პროკურატურის მეშვეობით და ძალისხმევით, გაგრძელდება დიდხანს, მაგრამ დასრულდება ჭეშმარიტების დადგენით. ჭეშმარიტება არის ერთი - ამ საქმეში მე ვარ უდანაშაულო. პროკურატურის ერთადერთი მოტივი ის იყო, რომ ჩემთვის შეეფარდებინათ აღმკვეთი ღონისძიება, რადგან მე არ ვიყავი ქვეყანაში და ვერ ვახერხებდი კონკრეტულად იმ ეტაპზე საქართველოში დაბრუნებას.

- ამერიკაში ყოფნის პერიოდში თუ შეხვდით ექსპრეზიდენტს და როგორ შეაფასებთ საქართველოში მისი დაბრუნების გეგმებს, რამდენად არის ის პოლიტიკური სიტუაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდეს?

- ამერიკაში საქართველოს ექსპრეზიდენტს არ შევხვედრიაარ. მას შევხვდი უკრაინაში და ვთვლი, რომ ის ასრულებს მნიშვნელოვან როლს დღეს და აკეთებს დიდ საქმეს ჩვენი ქვეყნისთვის. მისი გეგმების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს და ვერ გეტყვით, თუმცა დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მას დღეს ესოდენ დიდი მისია აკისრია და დიდ საქმეს არის შეჭიდებული, როგორც კი ქვეყანაში ამის საჭიროება გაჩნდება და ის ამას იგრძნობს, აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლინდა ადამია: „მე და ჩემი პატარა“ X ფაქტო



„დათუნასთან ტატუს გასაკეთებლად მივედი. იმდენად გავუგეთ ერთმანეთს, რომ ტატუ აღარც გაგვხსენებია, იმ დღესვე ამიხსნა სიყვარული და დღემდე ერთად ვართ. როდესაც დავქორწინდით, მერე გამიკეთა პირველი ტატუ“

„უფრო მეტი მეგონა გავაკეთე, რადგან იმ წუთებში, იმდენად აღელვებული ვიყავი, არაფერი მახსოვს“

„პირველი ემოც
აგაზანაში კივ

my View
თამარ გონგაძე

ლინდა – პოზიტიური, დადებითი ენერგეტიკის და ძლიერი ვოკალის ორსული გოგონა გამოვიდა თუ არა „X ფაქტორის“ სცენაზე, ჟიურის წევრების კეთილგანწყობაც დაიმსახურა და დარბაზისაც. „სამყაროში ხომ არაფერია იმაზე ლამაზი, ვიდრე ორსული ქალი და თურმე, არაფერი ყოფილა ისეთი კარგი მოსასმენი, როგორც ორსული ქალი, რომელიც მღერის“, - ამ სიტყვებით ლინდა ადამიას გამოსვლა ანრი ჯოხაძემ შეაფასა. 19 წლის კონკურსანტმა ქრისტინა აგილერას „Something's Got a Hold on Me“ შეასრულა. იმის გამო, რომ ორსულად არის, თავი არ დაუზოგავს. ვოკალის სრული დემონსტრირება მოახდინა. იცის, რომ მეგა შოუში კონკურენცია ძლიერია და იმის გამო, რომ პატარას ელოდება, უკან არაფერზე იხევს. ქალისთვის ამ ყველაზე სასურველმა მდგომარეობამ 20 კილო „აჩუქა“. ამას ძალიან განიცდის. თბილისის ღია უნივერსიტეტის ფინანსების და საბანკო საქმის ფაკულტეტის სტუდენტია. „X ფაქტორი“ მისთვის პირველი საკონკურსო შოუ არ არის. შარშან „ახალ ხმაში“ მონაწილეობდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო კონკურსის დატოვება მოუხდა. „X ფაქტორის“ ჟიურის წევრებიდან სურს, რომ სოფო ნიჟარაძის გუნდში მოხვდეს. ეს ყველაფერი წინ არის. გავიგოთ, ვინ არის ლინდა ადამია, ვინ ასწავლა სიმღერა და როგორ სთხოვა ხელი ტატუს ახალგაცნობილმა ოსტატმა.

აგილერას მსგავსი ტემბრით ლინდა ადამია:

– 2 წლიდან ვმღერი და ბავშ-

ვობიდან ვემზადები ვოკალში, თუმცა ბოლო 4 წელია არავისთან მივლია. ვოკალში ბევრ პედაგოგთან ვემზადებოდი, მაგრამ გამორჩეულად Efrem Chanels-ს გამოვყოფ. ის „Georgian dream studio“-ში მასწავლიდა ვოკალს. „X ფაქტორი“ ჩემთვის პირველი კონკურსი არ არის. 2014 წელს „ახალ ხმაში“ ვმონაწილეობდი, მაგრამ ჯანმრთელობის გამო წამოვედი პროექტიდან. ძალიან ცუდად ვიყავი და ექიმები მეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე თვე არ უნდა მემღერა, რადგან შეიძლებოდა ხმა საერთოდ დამეკარგა. ჩემი მენტორი დათო ფორჩხიძე იყო, ბრმა კასტინგზე გადავედი და შემდეგ პროექტი ჩემი ნებით დავტოვე. ეს ყველაფერი ფილტვების ანთებამ გამოიწვია. ამის შემდეგ 2 თვე ვოკალს ვუფრთხილდებოდი, ვუვლიდი და ვმკურნალობდი. მარტო ყელის მოვლა იყო საჭირო, ძლიერმა ხველამ იოგები დამიზიანა, მაგრამ 2 თვის შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა და ჩვეულ რიტმში გავაგრძელე სიმღერა. რადგან „ახალ ხმაში“ არ გამიმართლა, „იქს ფაქტორში“ გასვლა გადავწყვიტე. მინდა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო.

– რას ელოდები „X ფაქტორიდან“?

– წარმატებას და ხალხის მხარდაჭერას ველოდები. კასტინგზე ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო მეტი მეგონა გავაკეთე, რადგან იმ წუთებში, იმდენად აღელვებული ვიყავი, არაფერი მახსოვს. ძალიან პოზიტიურად განვეწყვე და იგივე მივიღე ხალხისგან და ჟიურისგან. ყველაზე კარგად მახსენდება ჟიურის შეფასება და ხალხის ემოცია დარბაზში. ჟიურის წევრების შეფასება და კომენტარი იყო ძალიან ამომწურავი და დადებითი, სტიმულის მომცემი.

– აგილერას გავლენის ქვეშ ხარ თითქოს, ვოკალითაც გამსგავსებ.

– გავლენის ქვეშ არ ვარ, მაგრამ ბავშვობიდან ძალიან მომწონს აგილერა და მისი ვოკალი, დიაპაზონი, ტემბრი და მუსიკალური სტილი. ბევრს უთქვამს, რომ ჩემი და აგილერას ტემბრი ერთმანეთს ჰგავს.

„გავლენის ქვეშ არ ვარ, მაგრამ ბავშვობიდან ძალიან მომწონს აგილერა და მისი ვოკალი, დიაპაზონი, ტემბრი და მუსიკალური სტილი. ბევრს უთქვამს, რომ ჩემი და აგილერას ტემბრი ერთმანეთს ჰგავს“

არანაირი შეღავათი

– გოგონების კატეგორიაში დიდი კონკურენცია გელის, არა?

– რა თქმა უნდა, საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავს.

– და ამისთვის მზად ხარ? მაინც თავი გაქვს დასაზოგი – ორსულად ხარ. რთული არ იქნება?

– ძალიან რთული იქნება და მზად ვარ მე და ჩემი პატარა ყველა სიძნელის გადასალახად! ორსულობის მე-4 თვეში გადავედი, რთულია ორსულობის დროს სწორად სიმღერა, რადგან სუნთქვების სწორად აღება ცოტა მიჭირს. მაგრამ მაგაზეც ვიმუშავებ. რა თქმა უნდა, უფრო რთულდება კონკურსი, რაც უფრო წინ მიდის და ამიტომ სრული დატვირთვით ვიმუშავებ ჩემს თავზე. არანაირი შეღავათი და არც ვთვლი საჭიროდ, ეს კონკურსია და თავისი წესები აქვს.

– რომელი მენტორის გუნდის წევრობას ისურვებდი?

– ყველა უძლიერესია და ბოლომდე ეცდება თავისი გუნდის წინ და წინ წაყვანას და გამარჯვებას. ძალიან მინდა, რომ სოფო ნიჟარაძე იყოს გოგონების მენტორი, რადგან მასთან სიამოვნებით ვიმუშავებდი. ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება!!! და მოუთმენლად ველოდები, როდის გავიგებ ვინ იქნება ჩვენი მენტორი.

– მოგება გენდომება, ბუნებრივია.

– რა თქმა უნდა, იქ ხომ ყველა მოსაგებად მიდის?!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რი ყველა სიძნელის გადასალახად მზად ვართ“

EXCLUSIVE

„რთულია ორსულობის დროს სწორად სიმღერა, რადგან სუნთქვების სწორად აღება ცოტა მიჭირს. მაგრამ მაგაზეც ვიმუშავებ“

„ექიმები მეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე თვე არ უნდა მემღერა, რადგან შეიძლებოდა ხმა საერთოდ დამეკარგა. ძლიერმა ხველამ იოგები დამიზიანა“

ია? სიხარულისგან ილი დავიწყე“

პირადი

მომავალი მეუღლე სოციალურ ქსელში გაიცნო. ამასაც მიზანი ჰქონდა. ლინდას ტატუს გაკეთება უნდოდა. მაგრამ „ლაივში“ გაცნობილმა წყვილმა „საქმე“ დაივიწყა და სპონტანურად ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ.

„დათუნა ყიასაშვილი გავიცანი „ფეისბუქით“, ტატუს გაკეთების მიზნით. რიცხვიც მახსოვს – 2013 წლის 21 ნოემბერს მივედი მასთან ტატუს გასაკეთებლად. იმდენად გავუგეთ ერთმანეთს, რომ ტატუ აღარც გაგვხსენებია, იმ დღესვე ამიხსნა სიყვარული და იმ დღიდან დღემდე ერთად ვართ. თავისთავად მოხდა... ისე, რომ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ და ბევრი საერთო ინტერესი აღმოვაჩინეთ. როდესაც უკვე სახლში მივდიოდი, ხელები დამიჭირა და მითხრა, რომ ვუყვარდი და მეც რამდენიმე წამის შემდეგ ვუპასუხე – მეც მიყვარხარ-მეთქი. დაქორწინებამდე 10 თვე ვიყავით ერთად.

– ტატუ არ გაიკეთე?

– იმ დღეს არა, მაგრამ, როდესაც დავქორწინდით, მერე გამიკეთა პირველი ტატუ. პირველი ტატუ არის ბრილიანტი. ჯერ მხოლოდ ორი ტატუ მაქვს, ორივე ფეხზე. შეყვარებულობის პერიოდში სულ ერთად ვიყავით და ძალიან კარგად გავიცანით ერთმანეთი, ბევრი კარგი მოგონება და თავგადასავალი გადაგვხდა თავს. ყველაზე სასიამოვნო და სახალისო დრო გავატარეთ ზაფხულში, ერთად მთელი საქართველო შემოვიარეთ და ეს მართლაც დაუვიწყარი დრო იყო, რომელიც ყოველთვის ტკბილად გამახსენდება.

„ძალიან მინდა, რომ სოფო ნიჟარაძე იყოს გოგონების მენტორი, რადგან მინდა, რომ მასთან ვიმუშაო. ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება!“

– რითი მოგხიბლა? როდის მიხვდი, რომ დათუნა „ის“ იყო?

– როგორც აღვნიშნე, გაცნობის პირველივე დღიდან ერთად ვართ და პირველივე დღეს მივხვდი, რომ ის ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო. დათუნა ძალიან თბილი, ერთგული, მზრუნველი და მიზანდასახული ადამიანია. მე მისი ყველა ეს თვისება ძალიან მიყვარს! ერთად გადასარევად ვგრძნობთ თავს.

– და იქორწინეთ.

– ქორწილი სულ შემთხვევით გვქონდა... არ ვიცოდით. ჯვარი წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიაში დავიწერეთ. მეცვა კაბა, რომელიც ბიონსეს ერთ-ერთ ვიდეოში აცვია და ძალიან მომწონდა, ვიყიდე მატერია და ის მოდელი შევაკერინე. ჯვრისწერის ღამეს მივდიოდით ეგვიპტეში და არ ვაპირებდით ქორწილის გადახდას, მაგრამ ჩემმა მშობლებმა სიურპრიზად რესტორანში ადგილები დაჯავშნეს და ჯვრისწერის შემდეგ რესტორანში ამოვყავით თავი :)) ყველაზე რომანტიკული პერიოდი კი ჩვენი თაფლობის თვე იყო, რომელიც ეგვიპტეში გავატარეთ.

– და პირველი ემოცია გაიხსენე, როდესაც გაიგეთ, რომ შვილს ელოდებოდით.

– პირველი ემოცია? სიხარულისგან აბაზანაში კივილი დავიწყე. სქესი ჯერ არ ვიცი. ამ დღეებში ვაპირებ გაგებას.

– 20 კილო მოვიმატეო, წერ – განიცდი?

– რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდი, ეს ზედმეტი 20 კილო უკვე ტრაგედიად იქცა ჩემს ცხოვრებაში! თავს ძალიან დამახინჯებულად ვგრძნობ.

– ეს ხომ დედობის გამოა?!

– დიახ, ეს ყველაფერი ჩემი პატარას გამოა, მას რომ შია, მე ორმაგად მშივდება :)

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ილო ბეროშვილი

„ჩვენ რა ვქნათ, ვისი ბავშვობაც მათთან არ გადაიკვეთა?!“

„ბოროტი ტიპი ნამდვილად არ ვარ. წინასწარ ვინმეს წყენინებას ნამდვილად არ ვგეგმავ“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მას მერე რაც პროექტი „ორი ვარსკვლავი“ დატოვა, ილო ბეროშვილმა თავის ფეისბუქგვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც ჟიურის მიკერძოებულობას უსვამს ხაზს, ჟიურისა და პროექტის მონაწილეთა მეგობრობაზე საუბრობს და შესაბამისად, უკმაყოფილებას გამოთქვამს. „პირველ რიგში, წარმატებას ვუსურვებ ყველა მონაწილე წყვილს! მადლობა ყველას თბილი სიტყვებისთვის. ჩემი იდეაფიქსი არ ყოფილა ამ პროექტში გამარჯვება... თუმცა, პიპიაზე უარს არ ვიტყოდი:)). თბილისი პატარა ქალაქია. ასეთი პროექტები კი უფრო დიდ ქვეყნებზეა გათვლილი. ქართველებს გვიყვარს ჯიგარი, გაგება, ძმაკაცობა, მეგობრობა. როცა ჟიურის წევრი იმაზე ფიქრობს,რომ შეფასების მერე ვინმესთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს, როცა ჟიური ფიქრობს, რომ პროექტი დამთავრდება, მაგრამ მეგობრობა ხომ გრძელდება და რატომ გავანაწყენო ბავშვობის მეგობარიო, საერთოდ რა პროექტზეა ლაპარაკი? ეს არის რაღაცა ჰიბრიდი მეგა პროექტსა და რაღაცა გაურკვეველ თბილისურ სექტანტურ აზროვნებას შორის. მეტი ნეიტრალიტეტი უნდა იყოს ჟიურისა და კონკურსანტებს შორის. მე მგონია, რომ ეს პროექტი უნდა მოეგო მიკი ჯეჯელავას, იმიტომ, რომ არაპროფესიონალია. პეჩო ყველაზე ძლიერი კონკურსანტია, მაგრამ ის, საბოლოოდ, მაინც მუსიკოსია, რომელიც ბევრ პროფესიონალს სჯობს. თუმცა ამდენჯერ მისი აუტსაიდერობა არასწორია. ჩემი აზრით, გავარდა ის ხალხი, ვინც რაღაცა ხარისხთან და მომავალთან ასოცირდება. ეს კი ცუდია... თუმცა დამიჯერეთ, მალე ყველაფერი შეიცვლება... მე და ნუცა შევეცადეთ მრავალფეროვანები ვყოფილიყავით და ბევრი ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა. ჩვენ ეს შევძელით. ძალიან ბევრ რისკზე წავედით. ყველა ჟანრი ვცადეთ. არასოდეს არ აგვირჩევია მარტივი გზა, ამიტომაც მე არც ერთ შეცდომას არ ვნანობ. უღრმესი მადლობა პედაგოგებს, რომლებმაც გული და სული ჩადეს და ტელეკომპანია „იმედს“, რომელმაც პროექტში მომიწვია. ისე, საინტერესოა, მე რომ ჩემი ბავშვობის მეგობრები მყოლოდა ჟიურიში როგორ განვითარდებოდა მოვლენები...“

- ილო, რატომ გახდა „ორი ვარსკვლავი“, ცუდი მას მერე, რაც შენ გამოვარდი?

- კარგად ვაანალიზებ იმას, რომ ჩემი დაწერილი სტატუსი აღარ არის ის, რაც ერთი წლის წინ იყო, მესმის, რომ უფრო მეტი ადამიანი მიაქცევს ყურადღებას, მაგრამ ეს არის ჩემი პირადი „ფეისბუქი“ და დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი. მე ვარ კაცი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს. ეს არ იყო მხოლოდ პროექტი. ის სახე არ განსხვავდება ჩემი პიროვნებისგან. შესაბამისად, გამოვთქვამ აზრს იმაზე, რაც მაწუხებს. მე ხომ ამბიციური განაცხადი არ გამიკეთებია, არ დამინერია, რომ მე უნდა მომეგო პროექტი, არც კონკრეტული ადამიანები დამისახელებია...

- თუმცა ადვილი მისახვედრია, ვის გულისხმობდი...

- მართლა არ ვგულისხმობდი ერთ ადამიანს. არის თემები, რომელიც ყველამ ვიცით, მაგრამ ხმამაღლა არ ვლაპარაკობთ. ჩემს სტატუსზე უარყოფითი გამოხმაურება არ ყოფილა. არავის უთქვამს, ეს რა დანერე, მართალი არ ხარო. ყველა მიხვდა, რომ ეს არ იყო პროექტიდან გამოვარდნილი, განაწყენებული კონკურსანტის ეგოცენტრული გამოხდომა. მაშინაც კი, როცა პროექტში ვიყავი, უარყოფითი კომენტარი ჟიურის მისამართით არ გამიკეთებია. პირიქით, იუმორში ვატარებდი მათ კრიტიკას და ვამბობდი, რომ კონსტრუქციული კრიტიკა აუცილებელია ზრდისთვის. ჟიურის თუ აქვს უფლება გამოხატოს თავისი აზრი, გამაკრიტიკოს ან მომინონოს ესა თუ ის გამოსვლა, მე რატომ არ მაქვს უფლება ჩემი აზრი გამოვხატო ჩემს პირად სივრცეში, ჩემს ფეისბუქგვერდზე? თუ ვიღაცამ თავისი თავი ამოიცნო ჩემ ნათქვამში და იმის იქით ვერაფერი დაინახა, ეს მისი პრობლემაა.

„დილის ცხრა საათიდან გასული ღამის ცხრა საათზე რომ მოხვალ და კიდევ ბავშვის დაძინება გიწევს, რთულია ძალიან“

- შენ ამბობ, რომ „ორი ვარსკვლავი“ არის ჰიბრიდი მეგა პროექტსა და რაღაც გაურკვეველ თბილისურ სექტანტურ აზროვნებას შორის. ასეთი წარმოდგენა თუ გქონდა ამ პროექტზე, რატომ მონაწილეობდი?

- ლოგიკური კითხვაა, ბევრს გაუჩნდა, ალბათ, მაგრამ არ მქონდა ასეთი წარმოდგენა. ჯერ ერთი მე ვარ „იმედის“ თანამშრომელი და ამ ტელევიზიისთვის კარგი სახელია, როცა მისი თანამშრომელი, თავისუფლად საუბრობს ამავე ტელევიზიის ავკარგიანობაზე. ასეთი რამ სხვა ტელევიზიებში არ ხდება. ჩვენთან „მოსულა“ შენი აზრის დაფიქსირება, თუნდაც შენივე ტელევიზიის პროექტზე. ეს არის დემოკრატია. როცა ეს პროექტი დაიწყო, თავიდან 12 წყვილი იყო. არ ვიცი ვინ დამეთანხმება, მაგრამ წინა სეზონთან შედარებით უფრო თანამედროვე წყვილები იყვნენ: მიკი ჯეჯელავა, მანიკა ასათიანი და სხვები. ჩემი გემოვნებით, მონაწილეების თვალსაზრისით, ეს იყო პოზიტიური ცვლილება, წინა პროექტთან შედარებით. ამას გარდა კარგი პარტნიორი მყავდა. გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა. მერე ნელ-ნელა შევნიშნე ელემენტები, რომელიც არ მესიამოვნა.

- კონკრეტულად?

- ის, რაც ჩემს სტატუსში ვთქვი. პიროვნულად ჟიურის არც ერთ წევრთან ცუდი დამოკიდებულება არ მაქვს. ყოველთვის მომწონდა თეონა კონტრიძე, შეიძლება გამოირჩეოდა კონსტრუქციული კრიტიკით, მაგრამ ჩემ მიმართ რასაც ამბობდა, ყოველთვის ვეთანხმებოდი, უსიამოვნოც რომ ყოფილიყო. მაგრამ ვამჩნევდი იმასაც, რომ კონკრეტული კონკურსანტების მიმართ იყო ძალიან მკაცრი და კონკრეტული კონკურსანტების მიმართ - ლოიალური. მეტი მოგეთხოვებათო, გვეუბნებოდნენ ჩვენც და მიკი ჯეჯელავასაც. ეს არასწორი მიდგომაა ჟიურის მხრიდან. მე დავინახე ტენდენციურობა და მეტი ნეიტრალურობა მინდოდა. ეს არის სულ.

- ვის მიმართ იყო ჟიური ლოიალური?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ორი ვარსკვლავის“ ჟიურის აპრიტიკებს

„კაცი მყავდა დაჭრილი და სამი ნელი „პაბეგში“ ვიყავი რაჭაში“

„ამას ვერ უარყოფს, ვერც ხათუნა ჟორდანია, ვერც მისი მეუღლე და ვერც ნინი ქარსელაძე“

„ჩვენთან „მოსულა“ შენი აზრის დაფიქსირება თუნდაც შენივე ტელევიზიის პროექტზე“

„თუ ვილაცამ თავისი თავი ამოიცნო ჩემ ნათქვამში და იმის იქით ვერაფერი დაინახა, ეს მისი პრობლემაა“

„ეს არასწორი მიდგომაა ჟიურის მხრიდან. მე დავინახე ტენდენციურობა და მეტი ნეიტრალურობა მინდოდა“

„არ მომწონს თუნდაც ის, რომ ჟიურის წევრი კონკურსანტთან გატარებულ ბავშვობის დღეებს იხსენებს და მერე წერს ქულას“

- იყო იქ ერთი-ორი წყვილი. ჩემი სტატუსის ქვეშ ვილაცებმა ხათუნა და გიო ახსენეს და გავაროტესტე... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კონკრეტულად არავის ვგულისხმობდი ჩემს სტატუსში. არ მომწონს თუნდაც ის, რომ ჟიურის წევრი კონკურსანტთან გატარებულ ბავშვობის დღეებს იხსენებს და მერე წერს ქულას. ჩვენ რა ვქნათ, ვისი ბავშვობაც მათთან არ გადაიკვეთა?!

- ხათუნა ჟორდანიამ ჩემთან ინტერვიუში თქვა, თუ მე მგულისხმობდა ილო იმ სტატუსში, მეწყინებაო.

- მე კონკრეტულად ხათუნას არ ვედავები. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ცდილობდნენ, ნერვიულობდნენ და განიცდიდნენ თითოეულ გამოსვლას, სულს და გულს დებდნენ ყველა ნომერში. ხათუნასთან მხოლოდ პოზიტიური დამოკიდებულება მქონდა. ამას ვერ უარყოფს, ვერც ხათუნა, ვერც მისი მეუღლე და ვერც ნინი ქარსელაძე. მათგანაც იმავეს ვგრძნობდი. გიოზე აღარ მაქვს ლაპარაკი.

- ამბობენ, ილო უპასუხისმგებლოდ უდგებოდა ამ პროექტს, ხშირად აცდენდა რეპეტიციებსო...

- მე რეპეტიციას კი არ ვაცდენდი... რა სისულელეა. როცა სამ პროექტში ხარ დაკავებული ადამიანი, შეიძლება ისეთ დროს მოგიწიოს სხვა პროექტში ყოფნა, აქ უკვე ბენდმა მუშაობა დაამთავროს და ვერ მოუსწრო. უსაქმურობის ან სიზარმაცის გამო არასდროს გამიცდენია რეპეტიცია. „საჩკაობაში“ ვერავინ დამადანაშაულებს. ჩემი იდეაფიქსი მოგება არ ყოფილა. ცხოვრება წინ არის, ახლა „ერთი ერთში“ იწყება, რომლის ნამყვანიც გახლავარ დუტა სხირტლაძესთან ერთად...

- იმავე ტელევიზიაში, რომლის ერთ-ერთი პროექტიც გააკრიტიკე...

- ეს იყო კონსტრუქციული და არგუმენტირებული კრიტიკა ჟიურის წევრების მისამართით. იგივეს ვისმენდი მათგან ყოველ ტურში და რა მოხდა, ერთხელ მეც თუ ამოვიღე ხმა?! არ მინდა შიდასამზარეულოზე ლაპარაკი, ვინ აცდენდა რეპეტიციებს, ვინ არ აცდენდა.

- იმასაც ამბობენ, არაფხიზელ მდგომარეობაში მოდიოდაო.

- ეს რას ნიშნავს? ვინ „პახმელიაზე“ იყო, ვინ მთვრალი ამაზე უნდა ვილაპარაკოთ?

- ვინ ნარკოტიკული თრობის ქვეშ...

- ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო, თბილისში იმდენ რამეს ამბობენ და იმდენ ვინმეზე ამბობენ, მაგ სივრცეში არც მინდა შევდიოდე.

- რომელ სივრცეში?

- თბილისური ჭორაობის სივრცეში. მე მხოლოდ საქმეზე ვლაპარაკობ, კონკრეტული არგუმენტებით. მივეჩვიე იმასაც, რომ ვილაც კარგს იტყვის ჩემზე, ვილაც - ცუდს. არც იმაზე ავტეხავ ამბავს, ეს როგორ მაკადრეს-მეთქი. ილაპარაკონ, ჩემთვის ეს პრობლემა არ არის.

- შენზე ყველაზე ცუდი რა ჭორი გაგიგია?

- ახალი გამოჩენილი ვიყავი ეკრანზე. მაშინ არავინ მიცნობდა. მეგობარმა მითხრა, როგორ უმტკიცებდა ერთი ბიჭი უბანში, რომ ლევანა ბეროშვილი ვარ, კაცი მყავდა დაჭრილი და „პაბეგში“ ვიყავი რაჭაში სამი წელი. რა უნდა მექნა, გავიცინე და გავატარე. ესენი ერთეულები არიან, ვინც ფანტაზიას რთავს და ჭორებს თხზავს. უმეტესობა კარგს ლაპარაკობს. ამ მხრივ საწუწუნო ნამდვილად არ მაქვს... ამ პროექტში რუსა ძალიან შემიყვარდა. გამორჩეულად კარგი ადამიანია, გულწრფელი და პირდაპირი...

- ნუცა ბუზალაძე რატომ არ შეგიყვარდა, შენი მეწყვილე, რომელსაც ძალიან უნდოდა გამარჯვება და ამის შანსი დაუკარგე...

- ვახ! რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. იმ რესურსით რაც მქონდა, თავი არ დამიზოგავს. ზოგჯერ გადაღლილი ვიყავი, უძილო. ორი შვილი მყავს, ერთი წლისა და რვა თვის არის, მეორე 5 წლის. ასეთი გრაფიკის ფონზე...

- ბავშვები შენთან არიან?

- ხან არიან, ხან არ არიან. როცა არიან ხომ ვზრუნავ მათზე. დილის ცხრა საათიდან გასული ღამის ცხრა საათზე რომ მოხვალ და კიდევ ბავშვის დაძინება გიწევს, რთულია ძალიან. თუმცა ეს მსიამოვნებს, უსაქმურობა მაგდებს დეპრესიაში, თორემ საქმეს ვინ ჩივის. რაც მეტია, მით უკეთესი. ძალიან მწყინს თუ ნუცას მხარი ისე ვერ ავუბი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ეს სიზარმაცის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა. ყველაფერს აქვს თავისი მეორე მხარე, მაგრამ არ მინდა თავი ვიმართლო. შეიძლება ზოგჯერ ფეთქებადი ვიყო, მაგრამ რაციონალურად ვაზროვნებ, დიპლომატიაც მახასიათებს. ცხოვრებაში არაფერს ვნანობ, გარდა იმისა, რომ ჩემთვის ძვირფას ადამიანებს ვაწყენინე. ბოროტი ტიპი ნამდვილად არ ვარ. წინასწარ ვინმეს წყენინებას ნამდვილად არ ვგეგმავ. სხვამაც რომ მაწყენინოს, ხუთ წუთში მავიწყდება და შერიგება მინდა. დიდხანს ნეგატიურ სივრცეში ყოფნა არ შემიძლია.

- ილო, რატომ აღარ ხარ კაცი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს?

- ცოტას ვლაპარაკობ?

- „ჯეოსელთან“ კონტრაქტს ვგულისხმობ.

- ამ კომპანიას თავისი პოლიტიკა აქვს. ჩვენ დავილაპარაკეთ როცა კონტრაქტი მთავრდებოდა. მე მივხვდი, რომ „იმედში“ მინდოდა და კონტრაქტი აღარ გავაგრძელეთ. ბოლომდე არ დამთავრებულა ჩემი და „ჯეოსელის“ თანამშრომლობა. პატარ-პატარა პროექტებში, რეკლამებში ვმონაწილეობ ისევ. ადამიანური სითბო მაკავშირებს მათთან, ამ კომპანიით გამიცნო ხალხმა, როგორ შეიძლება მადლიერი არ ვიყო.

- ვის გულშემატკივრობ დარჩენილი კონკურსანტებიდან?

- მე მიკი ჯეჯელავას ვგულშემატკივრობდი. ძალიან მომწონდა პეჩო, მაგრამ ვინაიდან ის უკვე შემდგარი მუსიკოსია, პროფესიონალია, სამართლიანად დარჩა სამი დილეტანტი ამ სფეროში. ვნახოთ რა მოხდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

La Panthére - Eau de Parfum Legere

„ზაფხული, მზის სხივები და მშვიდი პანტერა, რომელიც მზის სინათლეზე გამთბარი შესცქერის სამყაროს“

თაკო შარმიაშვილი

ლეგენდარული „Cartier“ საკუთარი ბრენდის მოყვარულთ ახალ არომატს სთავაზობს. „La Panthere“-ის ტრიუმფის შემდეგ „Cartier“-მ სრულიად განსხვავებული პანტერა შექმნა. „La Panthere - Eau de Parfum Legere“ მომხმარებელს მხოლოდ სურნელით არ ატყვევებს, მისი განსაკუთრებული დიზაინი, ნებისმიერი გემოვნების ადამიანის ყურადღებას იპყრობს, მისი ბრილიანტისებული ბრწყინვალეებით.

„ზაფხული, მზის სხივები და მშვიდი პანტერა, რომელიც მზის სინათლეზე გამთბარი შესცქერის სამყაროს“ - ეს მატილდა ლორანის ახალი ინსპირაციაა, რომელიც გადმოტანილია ამ ჯადოსნურ არომატში.

ახალი სუნამო „La Panthere - Eau de Parfum Legere“ სამი ძირითადი ინგრედიენტისგან შედგება, ეს არის გარდენია - მუშკი და ტიარე - იგივე თეთრი ყვავილი ტაიტიდან, რომელსაც არაერთი თქმულება და ტრადიცია უკავშირდება.

ახალი სუნამო განკუთვნილია თავისუფალი და მიმზიდველი ქალბატონებისთვის, მისი მსუბუქი სურნელი წლის ნებისმიერ სეზონს უხდება.

ხატია შამუგია:

- ეს დამოუკიდებელი ქალბატონის არომატია. ახალი სუნამო წინამორბედისგან განსხვავებულია, ეს პარფიუმის წყალია. სუნამოს ინსპირაცია, რა თქმა უნდა, პანტერაა. რომელიც „Cartier“-ს საიუველირო სახლის სიმბოლოა. სუნამოს ძალიან საინტერესო დიზაინი აქვს. ის მოგვაგონებს კარტიეს ცნობილ ბრილიანტს. მრავალწახნაგოვან ძვირფას თვალს, რომელიც ნებისმიერი ქალბატონის ცდუნებაა.

ასე რომ, ის ქალბატონები, რომლებიც დატყვევებული არიან „Cartier“-ს „La Panthere“-ით ზამთარში, ახლა შეუძლიათ ახალი სუნამოთი დატკბდნენ გაზაფხულსა და ზაფხულში.

Cartier-ს პარფიუმერული ხაზის მოყვარულ ქართველ მომხმარებელს ახალი სუნამოს „La Panthere - Eau de Parfum Legere“ შეძენა „ისი პარის“ მაღაზიათა ქსელში უკვე დღეიდან შეუძლია.

მითი და ჭეშმარიტება

21-ე საუკუნეში ჯანსაღი კვება ის პრობლემაა, რომელზეც აქტიურად საუბრობს მსოფლიო, ხოლო საკვები პროდუქტების შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპები საზოგადოებაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს.

ჯანსაღი კვება პროდუქტების მრავალფეროვნებას, ბალანსირებულ რაციონს, გემრიელ და სასარგებლო კერძებს გულისხმობს.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ში სამედიცინო მომსახურება, 15%-ში - გენეტიკური თავისებურებები, ხოლო 70%-ში - ცხოვრების წესი და კვება განსაზღვრავს.

სწორი კვება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და მიმზიდველი გარეგნობა, დავრჩეთ მოხდენილები და გამოვიყურებოდეთ ახალგაზრდულად.

თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების გამო ხშირად იმ საკვებზეც ვამბობთ უარს, რომელიც სწორედ ჩვენს ჯანმრთელობას განაპირობებს. ზოგიერთებს კი საყვარელ პროდუქტზე უარის თქმაც, როგორც აღმოჩნდა, სრულიად უსაფუძვლოდ გვიწევს.

ყავა

მითი: დღემდე საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი ყავის მავნებლობის შესახებ.

რეალობა: აღმოჩნდა, რომ ყავა მდიდარია ანტიოქსიდანტებით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით, რომელიც ჯანმრთელობას აუმჯობესებს. მასში შემავალი კოფეინი ორგანიზმს ენერგიულობას მატებს, ასევე ამცირებს დიაბეტის, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებების განვითარების რისკს. ამასთან ხელს უწყობს მეტაბოლიზმის პროცესსაც, ასე რომ, თუ წონაში დაკლება გნებავთ და გსურთ დღე ენერგიულად გაატაროთ, შეგიძლიათ ყავა თამამად მიირთვათ.

რძე

მითი: რძე ასუქებს

რეალობა: უახლესმა კვლევებმა რძის შესახებ დამკვიდრებული მითიც დაანგრიეს. რძე, რომელსაც წონის მომატების თვისებას მიაწერენ, სინამდვილეში ზედმეტ კილოგრამებთან საბრძოლველად კარგი საშუალებაა. ეს კანადაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინეს. ასე რომ, შეგიძლიათ არც რძიანი ყავა შეზღუდოთ.

შოკოლადი

მითი: შოკოლადი აკნეს, სიმსუქნეს და გულძმარვას იწვევს.

რეალობა: მცდარი აღმოჩნდა ასევე შოკოლადის შესახებ გავრცელებული მითიც, რომ ის აკნეს, სიმსუქნისა და გულძმარვის მიზეზია. შავი შოკოლადი მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომელიც საკმაოდ ეფექტურია გულის დაავადებების და მაღალი არტერიული წნევის წინააღმდეგ. სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, რომ შავი შოკოლადის მიღება სისხლის წნევას დაბლა სწევს და ინსულინის მიერ შაქრის რეგულირებასაც აუმჯობესებს.

შოკოლადში არსებული ანტიოქსიდანტები ასევე მნიშვნელოვანია იმუნიტეტისთვის და ინფექციათა პრევენციისთვისაც. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საუბარია მხოლოდ შავ შოკოლადზე, რომელიც მინიმალურ შაქარს და კაკაოს მარცვლების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს.

პოპკორნი

მითი: პოპკორნი მავნებელია.

რეალობა: მათთვის, ვისაც მაღალი არტერიული წნევა აწუხებთ, საკმაოდ სასარგებლოა პოპკორნიც, ასე რომ, მისი მავნებლობის შესახებ გავრცელებული მითიც დაინგრა. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ პოპკორნი ანტიოქსიდანტების დიდ რაოდენობას შეიცავს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასში ცოტაა ცხიმი, რაც დაბალკალორიულობას განაპირობებს. მეცნიერები პოპკორნის ჭამას ზეთის, შაქრისა და მარილის გარეშე გვირჩევენ. ეს მისი სასარგებლო თვისებების შენარჩუნებისთვის საჭირო წინაპირობაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეალობა

პროდუქტები, რომლებსაც მწვანე შუქი აუნთეს ანუ, რა მივირთვათ?



მარილი

მითი: არტერიულ წნევებს იწვევს და ნაადრევი სიკვდილის რისკს ზრდის.

რეალობა: მარილის შესახებ გავრცელებული მითის გამო, დღეს საზოგადოების ნაწილმა მისი დღიური ნორმა შეამცირა, ნაწილმა კი სრულად ამოიღო რაციონიდან.

თუმცა თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ მარილი კვლავ შეგიძლიათ გემოვნებით უყოთ სადილებს. მითი იმის შესახებ, რომ ის არტერიულ წნევებს იწვევს და ზრდის ნაადრევი სიკვდილის რისკს, დანგრეულია.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარილი აუცილებელი ინგრედიენტია, რომელიც ორგანიზმმა უნდა მიიღოს, ნაადრევი სიკვდილი კი სწორედ მისმა ძალიან მცირე რაოდენობით მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ არარაფინირებული მარილი 60-ზე მეტ ღირებულ ინგრედიენტს შეიცავს. ისინი აუმჯობესებენ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას და მეტაბოლიზმის პროცესს აუმჯობესებენ.

კვერცხი:

მითი: ინსულტისა და დიაბეტის განვითარების რისკს ზრდის, შეიცავს დიდი რაოდენობით ქოლესტერინს.

რეალობა: კვერცხის მავნებლობის დამადასტურებლად, მეცნიერებს ქოლესტერინი მოჰყავდათ, რომელსაც კვერცხის გული შეიცავს, თუმცა დღეს უკვე დადგენილია, რომ დღიურად ერთი კვერცხის მიღება ორგანიზმს არ ვნებს.

კვერცხში რკინისა და ანტიოქსიდანტების დიდი მარაგია, რომელიც თვალის ასაკობრივი დაავადებებისგან დაგიცავთ, ასე რომ თუ კვერცხს აქტიურად მირთმევთ, დაზღვეული იქნებით კატარაქტის განვითარებისგან.

ამასთან ნივთიერებები, რომლებიც შედის კვერცხში სასარგებლოა თმისა და კანის სიჯანსაღისთვის, კვერცხში შემავალი ინგრედიენტები ამაგრებენ კბილებსა და ძვლებს.

ქოქოსის ზეთი

მითი: მავნე ცხიმებით არის გაჯერებული.

რეალობა: მათ ვისაც მშრალი თმის პრობლემა აწუხებს და ნაოჭების მოსაშორებლად ათასგვარ საშუალებას მიმართავს, შეუძლიათ რაციონში აქტიურად ჩართონ ქოქოსის ზეთი.

თანამედროვე კვლევებმა მითი, რომლის თანახმად ის მავნე ცხიმებით არის გაჯერებული, დაანგრია.

ქოქოსის ზეთი ლაურინის მჟავას შეიცავს, რომელიც როგორც ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებებით გამოირჩევა. გარდა აღნიშნული სასარგებლო თვისებებისა, ასევე კვლევებმა აჩვენეს, რომ ქოქოსის ზეთი ძალიან კარგი საშუალებაა ნაოჭების შესამცირებლად და მშრალი თმის დასატენიანებლად.



ყურძენი

მითი: კალორიულია და ასუქებს .

რეალობა: ყურძნის შესახებ მითი თანამედროვე დიეტოლოგებმა დაანგრიეს, რომლებიც გვირჩევენ, რომ თუ წონაში დაკლება გვსურს, ამაში ყოველღიურად 200 გრამი მწვანე მწიფე ყურძნის მიღება დაგვეხმარება. დიეტოლოგები ასევე აღნიშნავენ, რომ ყურძენი საკმაოდ ეფექტურია მაშინ, როცა პარალულურად ფიტნესით ხართ დაკავებული. მისი მიღება კი ვარჯიშის დროს, შესვენების პერიოდში შეგიძლიათ, თუმცა აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ვარჯიშის შემდეგ ხილის მიღებამდე ნორმალური პულსი უნდა დავიბრუნოთ, ხოლო ვარჯიში მისი მირთმევიდან 5 წუთის შემდეგ გავაგრძელოთ.

ამასთან ყურძენი სხვა სასარგებლო თვისებებითაც გამოირჩევა: ხელს უშლის რაქიტის განვითარებას, ეფექტურია კუჭ-ნაწლავის დაავადებების და გულის დაავადებების სამკურნალოდ.

კაკალი

მითი: კაკალი კალორიულია და ასუქებს .

რეალობა: თანამედროვე კვლევებმა დაადგინეს, რომ კაკალი მდიდარია ცილებით და არ შეიცავს ქოლესტერინს. მცირე რაოდენობით კაკლის დღიური ნორმა შესაძლოა გახდეს ჯანსაღი დიეტის ნაწილიც. ის თითქმის იმდენსავე ვიტამინს, მიკროელემენტსა და ამინომჟავას შეიცავს, რამდენსაც ხილი, კაკალი ენერგიულობასაც მატებს, სასარგებლოა ასევე გულისა და გულსისხლძარღვთა სისტემისთვის, მასში შემავალი ინგრედიენტები სისხლის მიმოქცევის პროცესს აუმჯობესებს.

ფორთოხალი

მითი: ფორთოხალი ალერგიულია.

რეალობა: როგორც აღმოჩნდა, ეს ძალიან გადაჭარბებული შეფასებაა. დადგინდა, რომ თითოეული ადამიანი ალერგიულობის კუთხით ინდივიდუალურია, ხოლო ხილის ეს სახეობა უამრავი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა. კერძოდ, საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის, ენდოკრინული და ნერვული სისტემებისთვისაა სასარგებლო. ფორთოხლის წვენი აუმჯობესებს მეტაბოლიზმს, სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში. რეკომენდებულია ასევე დაღლილობის და დაკარგული ძალების აღსადგენად. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს, სასარგებლოა მისი მიღება გაციების დროს.

ცხიმები

მითი: ცხიმი ქოლესტერინია, რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

რეალობა: საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ცხიმი ქოლესტერინია, ხოლო ქოლესტერინი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ითვლება, რომ ქოლესტერინი ორგანიზმის მტერია, ხოლო ნებისმიერი ცხიმი მას შეიცავს. ამ მოსაზრების გამო ხშირად ზოგიერთ საკვებზე უარს უსაფუძვლოდ ვამბობთ. თუმცა არსებობს ქოლესტერინის ორი სახეობა, პირობითად ეს „ცუდი“ და „კარგი“ ქოლესტერინია.

ცუდი ქოლესტერინი ცხოველური წარმოშობისაა და ის ხორცში, ყველში და კარაქში შედის. მისი ჭარბი რაოდენობით მიღებისას ის დიდი არტერიების კედლებსა და ღვიძლში გროვდება და კენჭების წარმოქმნას უწყობს ხელს, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ გავრცელებულია. ასევე მნიშვნელოვნად ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. „კარგი“ ქოლესტერინი კი პირიქით, ცუდი ქოლესტერინის განდევნაში ეხმარება ორგანიზმს. ცხიმის დღიური ნორმა, რომელიც უნდა მივიღოთ, 30 გრამია. მათგან 15-18 უჯერი ცხიმი უნდა იყოს, რომელიც სწორედ ის ცხიმია, რომელიც ორგანიზმში „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს ამცირებს. დიეტოლოგების ცნობით, უჯერი ანუ „კარგი“ ცხიმები ყველაზე დიდი რაოდენობით ხილსა და ბოსტნეულში გვხვდება.

მასალა მომზადებულია უცხოური საიტების მიხედვით

Time პრაიმ რჩევები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ პავლიაშვილი მუსიკალურ კონკურსებს გათხოვების შემდეგაც არ ეშვება





„პირადად არ უთქვამს, მესიჯი მომწერა - მიყვარხარო... თელავში ვიყავი კონცერტზე და ბეჭდით სიუპრიზად ჩამომაკითხა. მუხლი მოიყარა და ასე რომანტიკულად მთხოვა ხელი“

my View
თამარ გონგაძე

მარიამ პავლიაშვილს მუსიკალური შოუების მაყურებელი კარგად იცნობს. „ნუცას სკოლა“, „ჯეოსტარი“, „ახალი ხმა“ და ახლა „X ფაქტორი“. აქტიურია და როგორც ამბობს, ძლიერი. არც წარუმატებლობა აშინებს, არც შოუს ადრიანად დატოვება. კონცერტებზე მარიამს სხვა მომღერლებთან ერთად ხშირად ნახავთ ბექებში მომღერალს. აქტიური მარიამი რამდენიმე თვეა გათხოვდა. მომღერლის ქმარი დავით კილასონიაა. მუსიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს. აიტის სპეციალისტია და ეკონომიკის სამინისტროში მუშაობსო, მითხრა რესპონდენტმა. ყველაფერი მეგობრობით დაიწყო და არც თუ ისე დიდხანს გაგრძელდა. წყვილი რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მშრალი მეგობრობა.

მარიამ პავლიაშვილი:

- ახლო მეგობრები ვიყავით. თითქმის ყოველდღე ვნახულობდით ერთმანეთს. ერთი პერიოდი შევწყვიტეთ ურთიერთობა და როდესაც აღვადგინეთ, სხვანაირად განვითარდა მოვლენები.

- რატომ შეწყვიტეთ?

- სისულელეზე ვიჩხუბეთ.

- და გათიშვამ ხომ არ მიგახვედრათ, რომ მხოლოდ მეგობრობა არ გაკავშირებდათ?

- იმ დროს მივხვდით, რომ სხვა თემასთან გვქონდა საქმე. ის დრო კარგად მახსენდება. დროს კარგად ვატარებდით. ზაფხულში ზღვაზე მაგრად გავერთეთ. თავიდანვე უსიტყვო კავშირი გვაქვს ერთმანეთთან. პირველი დათო გამოტყდა გრძნობაში, თუმცა შეიძლებოდა მეც ვყოფილიყავი პირველი, ამაზე გართულება არ მქონია. პირადად არ უთქვამს, მესიჯი მომწერა - მიყვარხარო... არ ყოფილა მოულოდნელი. ქალური ინტუიცია ხომ იცით :) პირადად მერე მითხრა, მოგვიანებით. თელავში ვიყავი, კონცერტზე და ბეჭდით სიუპრიზად ჩამომაკითხა. ვიღებ მესიჯს, გადი გარეთ, ლამპიონთან მიდი და ქვევით დაიხედეო. არც ვიცი, თურმე ჩამოსულია. დავიხედე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. იქვე მისი მეგობრების მანქანა დავინახე - თვითონ სად არის-მეთქი? ვკითხე ბიჭებს. არ ნახე, იქეთ არისო, მითხრეს. იმალებოდა. ისეთი გაუგებარი სახით ვიდექი, „სამალავიდან“ გამოვიდა. მიმყვა ლამპიონთან და ისევ რომ ვერ დავინახე ბეჭედი, თვითონ აიღო, მუხლი მოიყარა და ასე რომანტიკულად მთხოვა ხელი.

ეს იყო 3 ოქტომბერს. მეორე დღეს ასევე სპონტანურად მივიდნენ დათოსთან სახლში, ერთად ცხოვრების გადაწყვეტილებით. ჯვარი მეტეხში დაიწერეს. იყო მინი კონცერტის მსგავსი ქორწილი, ორი ბენდითა და ბევრი მომღერლით. მარიამის ქორწილში იყვნენ – გოგა მესხი, ანი ღონღაძე, მარიტა როხვაძე, ნინი ბრეგვაძე (ახლა ისიც „იქს ფაქტორშია“), ლევან კბილაშვილი, გიორგი ცხვარიაშვილი, ბევრნი... პატარძლის მეჯვარეებს შორის მარი ჯომარდიძე და თამუნა მუსერიძე იყვნენ.

„X ფაქტორში“ მონაწილეობა იმიტომ მინდოდა, რომ ამ ქვეყანაში ბევრი არაფერი ხდება. ეს პროექტი კარგი საშუალებაა, რომ ცოტა ხნით გამოანათო“

„X ფაქტორში“

„X ფაქტორის“ მეორე სეზონში ბევრ ცნობილ სახეს გადააწყდებით, მათ შორის – ალეკო ბერძენიშვილს, ლიზა ყენიას, ლიკა შუბითიძეს, თავად მარიამს, ოთარ ტატიშვილისა და ზურა კობეშავიძის ვაჟებს...

„X ფაქტორში“ მონაწილეობის მიღება მინდოდა იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ბევრი არაფერი ხდება. ეს პროექტი კარგი საშუალებაა, რომ ცოტა ხნით გამოანათო. დიდი ხანი ვფიქრობდი, მიმეღო თუ არა მონაწილეობა. მაგრამ სხვას რეალურად ვერაფერს ვაკეთებ. სცენაზე დგომა კი მენატრება. არ მინდა მოვდუნდე. ეს საქმე მიყვარს და ყველაზე კარგად გამომდის. მამა ხუმრობს, ვიცოდი, რომ ჩემი შვილი სელფომანი იყო და კონკურსომანი თუ იყო, მაგდენი არ ვიცოდიო. ყველა პროექტი დიდ გამოცდილებას გძენს, წარმატება თუ წარუმატებლობა დიდ ცოდნას იძლევა, როგორ უნდა იყო ძლიერი. „X ფაქტორმა“ მაგრძნობინა, რომ ძალიან ძლიერი ადამიანი ვარ. ჩემი იქსი? ბევრ წახნაგოვანია. სიმღერის გარდა რამდენიმე ინსტრუმენტზე ვუკრავ, ვწერ, ვცურავ...

BAZARR

სალომე ღვინიაშვილი დიზაინერი ხდება

მოდელი სალომე ღვინიაშვილი დიზაინერი ხდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სალომემ განათლება სწორედ ამ განხრით მიიღო, ამ გადაწყვეტილებაში ახალი არაფერია. ის პირველ კოლექციას „დალოოდისთვის“ შექმნის. სამომავლოდ მამაკაცის ხაზზეც იმუშავებს, ქალი კი, რომელსაც ის წარმოადგენს, სექსუალური სილუეტის ყოველთვის იქნება.

სალომე ღვინიაშვილი:

– პროფესიით დიზაინერი ვარ. ეს არ ყოფილა მოულოდნელი და უეცარი გადაწყვეტილება. ბავშვობიდან კარგად ვხატავდი. ბაბუაჩემი მოქანდაკე იყო, მამაჩემი – მხატვარი. აკადემიაში მოდელირების ფაკულტეტზე ჩავაბარე. ინგლისშიც ვსწავლობდი, ბოლო პერიოდში კი მომიწია საქართველოში ჩამოსვლა და გადავწყვიტე, რომ დრო იყო ჩემი ხაზი გამეკეთებინა. ამ სფეროში ჩემი პირველი ნაბიჯი „დალოოდთან“ თანამშრომლობაა. მისმა დამფუძნებელმა, მაკა კვიციანმა, შემომთავაზა, რომ მათი მაღაზიისთვის კოლექცია შემექმნა და მეც დავთანხმდი. ამჟამად კაფსულა კოლექცია (პატარა კოლექცია) შევქმენი. ეს სპეციალურად მაღაზიისთვის იყო განკუთვნილი. სამომავლოდ ჩემი კოლექციები ყველა ტიპის ქალზე იქნება მორგებული. მაგრამ ქალურობას და კლასიკას არასდროს დავკარგავ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კოლექცია ქალური და ამავდროულად სექსუალური იყოს. მომავალში კაცების კოლექციის შექმნასაც ვგეგმავ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მინდა ბუნებრივი ქვების პოპულარიზაცია მოვახდინო.... ჩვენ დავარღვიეთ პოსტკომუნისტური კლიშე“ exclusive

my View
თამარ გონგაძე

ამ 11 უნიკალურ ბეჭედს დამთვალიერებელი საგამოფენო სალონ „ვაჩეში“ 25 აპრილს იხილავს. ბეჭდები უნიკალურია იმით, რომ ნატურალური ქვები სხავადასხვა ქვეყანაშია შეძენილი, ევროპის მასშტაბით, ზოგი აუქციონის მეშვეობით, ზოგი გამოფენებზე. ბეჭდებს კონკრეტული ისტორიები და სახელწოდებები აქვს. მათი ავტორი, იუველირებთან ერთად, ინგა ვაჩეიშვილია, რომლის საგამოფენო სალონი 2005 წლიდან არსებობს. ესკიზების შექმნას ინგა მსოფლიო საიუველირო კულტურის შესწავლის შემდეგ შეუდგა. პროფესიით სიძველეთა სახვითი ხელოვნების ნიმუშისა და ქვების და ლითონის ექსპერტშემფასებელია. გამოფენაზე კატალოგსაც იხილავს დამთვალიერებლი, გურამ წიბახაშვილის ფოტოებით.

ინგა ვაჩეიშვილი:

- იცით რას ვამბობ ამ გამოფენით? ქართველებს ოქრო მოგვწონს. მაგრამ ბუნებრივ ქვებს პატივს არ ვცემთ. მინდა ბუნებრივი ქვების პოპულარიზაცია მოვახდინო. ჩვენ დავარღვიეთ პოსტკომუნისტური კლიშე. ახალი მიმდინარეობა შემოვიტანეთ სამკაულებში. ბეჭდებს შორის აღარ არის არც გოზინაყი, არც ბაღჩა. ვიყენებ ათ გრამ ოქროს და ბუნებრივი ქვების ნაკრებს. და პლუს ამას შემოქმედებითი სამკაულია. გავაკეთე „კარდინალი“. პანაგიის ფორმა მივეცი. ვისესხე სოლომონ მეფის სიტყვები - ესეც გაივლის. ის შიგნიდან აწერია. 57 კარატიანი ტოპაზია, მოოქროვილი, ალმასებით.

- რა ისტორიები აქვს ბეჭდებს?

- ლონდონში ვიყიდე ფირუზი, რომელსაც „შახის ფირუზს“ ეძახიან. სულთან სულეიმანი კარგი ოქრომჭედები იყო. ის ფირუზის საყურეებს ამზადებდა და თავისი ჰარამხანის ქალებს უკეთებდა. თუ ფირუზი გაშავდებოდა, რკინა გამოუვიდოდა და ლექით დაიფარებოდა, იმ ქალს ან ჰარამხანიდან აგდებდა, ან აღარ იყო მისი საყვარელი. ამეთვისტოც ლონდონში შევიძინე, მაგრამ ხარკოვში დავამუშავებინე. მაქვს „იმედის იალქანი“, „შემოდგომა ვერაზე“, „ვარდის კალათა“, „მხოლოდ შენ ერთს“, „თევზი ბადეში“, „ყვავილი თოვლზე“, „როიალი“. ბეჭდების ფასები ინტერნეტით გავასაჯაროვე. არ გააპროტესტეს, „შეიძლება შიკი ფასია, მაგრამ სამკაულიც შიკიაო“, დაწერეს. დაახლოებით, საშუალო ფასი 2 400 ლარია. მთავარია, რომ სამკაული არ მეორდება. ბუნებრივი ქვა ამის საშუალებას არც მოგცემს. მიიღო თუ არა სამკაულის ბრენდი „ვაჩე“ საზოგადოებამ, ამ გამოფენით მივხვდები. გაგრძელების მოტივაცია თუ მექნება, დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ.

ქალაქ თბილისის საკრებულომ ცხოველთა მოვლა-პატრონობაზე ახალი წესი დაამტკიცა

მაგდა კლდიაშვილი

ახალ წესებს ოცდაექვსმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მხოლოდ ხუთი იყო წინააღმდეგი, ერთმა კი თავი შეიკავა. სადავო წესის მიღება საკრებულოსთან აქციის ფონზე მიმდინარეობდა.

საკრებულოს ბიუროს სხდომა აქციის ფონზე მიმდინარეობდა. საკრებულოსთან ცხოველების უფლებების დამცველები შეიკრიბნენ. ისინი ამბობენ, რომ წესის დამტკიცების შემდეგ მიუსაფარი ცხოველების ხოცვა დაიწყება. წესის დაჩქარებულად მიღებას აგვისტოში თბილისში დაგეგმილი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამართვას უკავშირებენ.

წესის თანახმად, სავალდებულო ხდება ცხოველის რეგისტრაცია, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობიდან 1 თვის ვადაში. რეგისტრაციას განახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, ამ შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ან შესაბამისი ვეტერინარული დაწესებულება. შეიქმნება აღრიცხვის ერთიანი ბაზა. საკუთრებაში მყოფ ცხოველს უნდა ჰქონდეს საიდენტიფიკაციოდ განკუთვნილი მიკროჩიპი ან ტატუირება, ან „საჭდი“ და ყელსაბამი. გარდა ამისა, ცხოველი მეპატრონემ 50 სანტიმეტრი სიგრძის საბელით და ალიკაპით უნდა გაასეირნოს. ამის გარეშე ცხოველის გაყვანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებშია შესაძლებელი - ვერის ბაღსა და დედაენის სკვერში, თუმცა ეს ადგილები სპეციალურად კეთილმოწყობილი ჯერ არ არის და გაურკვეველია, თბილისის სხვა უბნებიდან ამ ადგილებში როგორ უნდა მოახერხოს ცხოველის პატრონმა მისი გადაადგილება.

არასამთავრობოების ნაწილი სასამართლოსთვის სარჩელს ამზადებს. ცხოველთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციები და მოქალაქეები იმ კანონს აპროტესტებენ, რომელიც საკრებულომ მიიღო.

მესამე სექტორის განცხადებით, კანონი ბუნდოვანია და უნდა გაუქმდეს ის მუხლი, რომელიც შესაბამის სამსახურებს ცხოველების ლიკვიდაციის საშუალებას აძლევს.

BAZARR

მალტაში მიმდინარე „ოთხთა ტურნირი“ საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების ტრიუმფით დასრულდა

მაგდა კლდიაშვილი

მალტაში მიმდინარე ოთხთა ტურნირი, რომელშიც მალტა, ანდორა, ფარერები და საქართველო მონაწილეობდნენ, ქართველი ქალი ფეხბურთელების ტრიუმფით დასრულდა.

ჯგუფის პირველი შეხვედრა საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ფარერებთან გამართა და 2:0 მოუგო. მეორე შეხვედრაში დასანანი მარცხი განიცადა მალტასთან, რომლისგანაც მეორე ბურთი კარში დამატებით დროში გაუშვა და 2:1 დამარცხდა.

არსებული ვითარების ფონზე, მალტას ფარერებთან ბოლო შეხვედრა ვერ უნდა მოეგო, საქართველოს ნაკრებს კი დიდი ანგარიშით უნდა ემარჯვა. ქართველმა ფეხბურთელებმა ანდორა 7:0 გაანადგურეს, მალტის ნაკრებმა კი მოულოდნელად ფარერებთან წააგო. ქართველი ფეხბურთელები პირველ ადგილზე გავიდნენ და შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

ნაკრების კაპიტანმა, ტატიანა მატვეევამ ანდორას კარში დუბლი შეასრულა, ერთი გოლი ჭიჭინაძის ანგარიშზეა. შეხვედრის ტრიუმფატორი მეგოლე კი ჭყონია გახდა, რომელმაც პოკერი მიითვალა.

პირველად, ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს ითამაშებს.

ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, შვეიცარიის ქალაქ ნიონში 20 აპრილს გაიმართება.

GROUP 2	P	Pts
Georgia	3	6
Faroe Islands	3	6
Malta	3	6
Andorra	3	0

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ლორია ნელინაადში

საქართველოს ეროვნული ნაკრების კარის კიპერი, გიორგი ლორია, კარიერას ბერძნულ „პაოკში“ გააგრძელებს.

კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმება უკვე შედგა. „ოფის“ ყოფილმა მეკარემ „პაოკთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელი ბერძნული კლუბისგან ნელინადში, ხელფასის სახით, 400 ათას ევროს ითხოვდა, თუმცა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ბერძნებმა ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, მხარეები 250 ათას ევროზე შეთანხმდნენ.

სალონიკური კლუბი ბერძნულ სუპერლიგაში მესამე ადგილზე იმყოფება.

250 ათას ევროს ეიიღებს

კახა ცხადაძე პაპუნაშვილს აკვირდება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ბაქოს „ინტერის“ თავკაცი, კახა ცხადაძე თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა შემტევს, გიორგი პაპუნაშვილს აკვირდება.

ახალგაზრდა ფეხბურთელზე დასაკვირვებლად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბაქოდან სპეციალურად ჩამოფრინდა და დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მატჩს დაესწრო, სადაც „დინამომ“ ცხინვალის „ცხინვალს“ უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა.

პაპუნაშვილი ნაკრების წინა მწვრთნელსაც, თემურ ქეცბაიასაც ჰყავდა გამოძახებული. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფეხბურთელი ცხადაძემ სანაკრებო სიაში ისევ ჩაინიშნა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ცქიტიშვილი ფუტსალის ასოციაციას იბრუნებს

ფუტსალის ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, ლევან ცქიტიშვილმა პირველი ინსტანციის სასამართლო მოიგო და პრეზიდენტობის პოსტზე აღდგენას მოითხოვს.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ გამოიტანა. ცქიტიშვილის განცხადებით, ვახტანგ წერეთელი ყრილობამ, თავის დროზე, უკანონოდ აირჩია, რაც მისი აზრით, სასამართლომ დაადასტურა კიდეც.

ფუტსალის ასოციაციის მოქმედი ხელმძღვანელობა ცქიტიშვილის სიხარულს ნაადრევს უწოდებს და გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

„ბეთლემის“ ფეხბურთელი ვარჯიშზე გარდაიცვალა

ქედას „ბეთლემის“ მწვრთნელ-ფეხბურთელი 27 წლის არჩილ ფარტენაძე საკუთარი გუნდის ვარჯიშზე გარდაიცვალა.

როგორც გუნდელები და მწვრთნელები ყვებიან, ახალგაზრდა ფეხბურთელს გული აწუხებდა და ამისთვის მკურნალობის კურსსაც გადიოდა, თუმცა ბოლო პერიოდში ექიმის დანიშნულებას აღარ ასრულებდა.

უფრო კონკრეტულად კი, მისი გარდაცვალების მიზეზი ის გახდა, რომ წინა ღამეს ალკოჰოლის დიდი დოზა მიუღია და მეორე დღეს, ნაბახუსევმა ივარჯიშა. მისმა სხეულმა და გულმა კი დატვირთვას ვერ გაუძლო და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

„ზესტაფონი“ არსებობის ბოლო საათებს ითვლის

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ არსებული ფინანსური კრიზისის გამო, კლუბი დაშლის პირასაა. დუბლიორთა მორიგი ტურის მატჩი, რომელიც ფოთში უნდა გამართულიყო, ჩაიშალა, რადგან კლუბმა გუნდის გასამგზავრებლად საჭირო სახსრები ვერ მოიძია.

კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ფოთში ვერც პირველი გუნდი გაემგზავრება და ის არსებობის ბოლო საათებს ითვლის.

„თუკი აქამდე უმძიმეს ფინანსურ კრიზისში მყოფი კლუბის ხელმძღვანელობა ასე თუ ისე ახერხებდა, მოვლენათა ასეთი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში კი ეროვნული პირველობის გათამაშებიდან ჩვენი გუნდის მოხსნა გარდაუვალი გახლავთ“, - ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ გამოაგდეს მერვე კლასიდან რეზი

my View
ნინო მჭედლიშვილი

„მამა არ მახსოვს, ერთი წლის ვიყავი რომ მოკლეს. სულ მაინტერესებდა როგორი იყო, დედას ვეკითხებოდი ხოლმე“

EXCLUSIVE

„არ არის სწორი იცხოვრო ისე, როგორც შენ მშობლებს, ოჯახის წევრებს ან ზოგადად სხვა ადამიანებს უნდათ. ცოდოა ვინც ასე ცხოვრობს“

„ჩემი ცოლის დაქალების“ გიო, იგივე რეზი ნასიძე თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია. ნანუკა ხუსკივაძისა და გიზო ჟორდანიას ჯგუფში სწავლობს და ამბობს, რომ მათი დამსახურებაა, რომ ამ დრომდე შემორჩა თეატრალურ ინსტიტუტს. დედა რუსი ჰყავს, ბებია - პოლონელი, მამა - ქართველი. რეზი ერთი წლის იყო, მამა რომ მოუკლეს. ახლა დედასთან ერთად ცხოვრობს.

ჩემი რესპონდენტი აპროტესტებს კითხვებს პირად ცხოვრებაზე. არ მოსწონს, როცა ადამიანები სხვა ადამიანების პირადი ცხოვრებით ინტერესდებიან. სწორედ ამის გამო არ იწუნებს სერიალს, რომელშიც მონაწილეობს. თვლის, რომ „ჩემი ცოლის დაქალების“ მთავარი გმირების ოჯახური ისტორიები არ უნდა იყოს წინა პლანზე წამონეული.

მე შევეცადე ყველაზე პუპულარული სერიალის ერთ-ერთი გმირის შემსრულებელი უკეთ გამეცნო თქვენთვის.

- ბავშვობაში სამხედრო სფერო მომწონდა, სპორტითაც ვიყავი დაკავებული. ათი წელი ფეხბურთზე დავდიოდი. მერე ტრავმების გამო ველარ გავაგრძელე ვარჯიში. ბაბუა მყავდა არქიტექტორი. ბიძა მყავს საფრანგეთში წარმატებული დიზაინერი, ირაკლი ნასიძე. ვიფიქრე, იქ გავაგრძელებდი მოღვაწეობას, ბიძა დამეხმარებოდა. ამიტომ ჩავაბარე არქიტექტურაზე. მაგრამ დავიღალე ხატვით. ყოველდღე ნატურმორტებს ვხატავდი და თეატრალურში ჩავაბარე. საერთოდ ეს რუტინული შრომა მღლის. ისე, ზარმაცი არ ვარ. 14 წლის ვიყავი პირველად მუშაობა რომ დავიწყე, არც ვიცი რატომ. „ბილაინის“ ნომრებს ვყიდდი. განცხადებაში ეწერა, რომ ესაჭიროებოდათ გარე გაყიდვების აგენტი. არ ვიცოდი ეს რას ნიშნავდა. სიტყვა აგენტმა მომხიბლა. მივედი და უარი ველარ ვთქვი, ცოტა ხანი ვიმუშავე. ხელფასი არც ამიღია, რომ ჩამირიცხეს ჩემს მეგობარს მივეცი. ინტერესი იყო, სხვა არაფერი. მერე სარეკლამო ჟურნალშიც ვმუშაობდი.

- პარალელურად სკოლაში ხომ დადიოდი, როგორ ახერხებდი მუშაობას?

- მერვე კლასიდან გამომაგდეს. ბიძაჩემის კერძო სკოლაში დავდიოდი. ჩემი სიჯიუტის და არასწორი მოქცევის გამო დამსაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი სკოლა იყო და ბევრი რამ მომცა განათლების, ზნეობის კუთხით, კონფლიქტები მქონდა პედაგოგებთან. ვერ ვიგებდი რა საჭირო იყო სწავლა, დავალების დაწერა, მაშინ როცა ყველაფერს სკოლაშივე ვაკეთებდით. კარგად შევხვდი იმ ამბავს, რომ სკოლიდან გამომაგდეს და ბიძაჩემის ხათრით არანაირი პრივილეგია არ მქონდა. მიყვარდა სკოლა. შატალოზე არ ნავსულვარ. ვერ ვიგებდი რატომ უნდა წავსულიყავი შატალოზე, როცა სკოლაში ვთამაშობდი ფეხბურთს, ვხვდებოდი მეგობრებს, კვებაც იქვე იყო. ბოლოს მაინც კარგი ნიშნები მყავდა.

- მგონია, რომ შენ გმირს, გიოს ჰგავხარ, დაუმორჩილებელი ხარ.

- ჩემი აზრით, არ არის სწორი იცხოვრო ისე, როგორც შენ მშობლებს, ოჯახის წევრებს ან ზოგადად სხვა ადამიანებს უნდათ. ცოდოა ვინც ასე ცხოვრობს.

- შენ როგორ გინდა იცხოვრო, რა გაწუხებს?

- მაწუხებს პრობლემები ქვეყანაში. „ბილაინის“ ნომრებს რომ ვყიდდი, ხალხს ვაკვირდებოდი ქუჩაში, მერე სარეკლამო ჟურნალში რომ გადავინაცვლე, უკვე სხვა ფენასთან მქონდა შეხება, კომპანიების ხელმძღვანელებთან ვურთიერთობდი, მერე თხილამურების მაღაზიაში დავიწყე მუშაობა. იქ ყველანაირ ადამიანს შევხვდი, მათ შორის პოლიტიკოსებსაც. სხვადასხვა ფენისა და წრის ადამიანებზე დაკვირვებამ ბევრ რამეზე დამაფიქრა. პირველ რიგში ადამიანის ზნეობრივი ნორმებია ქვეყანაში ასამაღლებელი... ერთი კადრის შეცვლით არაფერი იცვლება. კულტურის მინისტრის შეცვლამ შესაძლოა არაფერი გამოასწოროს. აღმოჩნდეს, რომ ჯანდაცვის მინისტრიც კავშირშია რაღაც კონკრეტულ პრობლემასთან. ერთი სიტყვით, ვიღაცის ხასიათზე და კეთილ ნებაზე ხარ დამოკიდებული. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა.

- მგონია, რომ ზედმეტად პოლიტიზირებული ხარ 22 წლის ასაკში...

- ფიქრი რომ დავიწყე, მის მერე პოლიტიკაში ვარ ჩართული. უფრო აქტიურად 2003 წელს ჩავერთე. მაშინ გავიგე რა იყო პოლიტიკის მნიშვნელობა ადამიანებისთვის. არ მომწონს რომ ამბობენ, აპოლიტიკური ვარ და არ მაინტერესებს ეს სფერო. ეს ყველაფერი მე მეხება. სტუდენტი ვარ, მინდა ჩემი პროფესიით ვიმუშაო, მაგრამ არა საქართველოში. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში ვერ იღებენ კარგ ფილმს, ამის ფინანსები არ აქვთ, ვერ იხდიან შესაბამის ჰონორარს.

- ახალ მთავრობაზე რას ფიქრობ?

- ვაკრიტიკებ, მაგრამ რადგან ისინი მოვიშორეთ, ხმას აღარ ვიღებ, ცოტა ხანს კიდევ ვიქნები ჩუმად.

- რა დაგიშავეს იმათ?

- ნაციონალებმა? კონკრეტულად მე არაფერი, მაგრამ ბევრ ახლობელს დაუშავეს.

- შორს წავედით, სკოლიდან გამომაგდესო, მიყვებოდი, როგორ დაამთავრე?

- საბუთები გადავიტანე სკოლაში სადაც სიარული საჭირო არ იყო. ჩავაბარე საატესტატო გამოცდები და ავიღე ატესტატი. ძალიან ადვილი იყო. ეროვნული გამოცდებიც იგივენაირად ჩავაბარე. მარაზმია ეროვნული გამოცდები და მიხარია, რომ აუქმებენ. არაფერს არ ნიშნავს ეროვნული გამოცდის ჩაბარება. სულ არ გამორიცხავს კარგი ქულა იმას, რომ შენც მუშად მოგიწევს მუშაობა. სრული დებილიზმია რასაც ეროვნული გამოცდები ჰქვია. ყველაფერი ტესტში მოცემული გაქვს, რისთვის ემზადებან და სწავლობენ, ვერ ვხვდები. არაფერი მისწავლია, ისე გავედი გამოცდაზე.

- შენი მშობლები რა პროფესიონალნი არიან?

- დედა სტომატოლოგია. ახლა გამგეობაში დაიწყო მუშაობა. მამა არ მყავს. ერთი წლის ვიყავი, რომ მოკლეს.

- რატომ, რა მოხდა?

- სენტიმენტალური ტიპი არ ვარ, ვილაპარაკებ, მაგრამ რა საჭიროა, ვერ ვხვდები. არ მიყვარს პირად თემებზე ლაპარაკი. როცა ვამბობ, ზნეობრივი ნორმებია ასამაღლებელი ქვეყანაში-მეთქი, სწორედ ამას ვგულისხმობდი... მამა არ მახსოვს, სულ მაინტერესებდა როგორი იყო, დედას ვეკითხებოდი ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნასიძე - ბევრჯერ მაქვს მოწეული „ბიო“

„ფიქრი რომ დავიწყე, მის მერე პოლიტიკაში ვარ ჩართული“

„მე ყველგან კაი ტიპი ვიქნები. ამის ამბიცია მაქვს“

„სრული დეგილიზმია რასაც ეროვნული გამოცდები ჰქვია“

- დედა აღარ გათხოვილა?

- არა. მე, დედა და ბაბუა (დედას მამა), ვცხოვრობდით ერთად. წინა კვირას დავკრძალეთ ბაბუა. მე და დედა დავრჩით. ბაბუას, გარდა იმისა, რომ კარგი ადამიანი იყო, ბევრი რამ აქვს გაკეთებული თავისი ქვეყნისთვის. მღეროდა სახელმწიფო ანსამბლში, „ჩაკრულოში“, რომელიც კოსმოსში გაუშვეს, ბაბუაჩემის ხმაც არის ჩაწერილი. დადიოდა ამერიკაში მეგობართან, თემურ მიქიაშვილთან ერთად, რომელსაც ჰყავს ინვალიდი შვილი, ჩამოჰქონდათ ჰუმანიტარული დახმარებები საქართველოში და ეხმარებოდნენ ხალხს. მათვე დააარსეს ინვალიდთა ოლიმპიური კომიტეტი საქართველოში. ცუდი ტონია ასეთ ადამიანებს უყურადღებოდ რომ ტოვებენ. ეს გიჩენს ქვეყნიდან წასვლის სურვილს, რადგან, ხვდები, რომ რაც არ უნდა აკეთო ამ ქვეყანაში, არავინ დაგიფასებს.

- გისმენ და მგონია, რომ შეგეშალა, როცა პროფესია აირჩიე. პოლიტიკაში უფრო კაი ტიპი იქნებოდი...

- მე ყველგან კაი ტიპი ვიქნები. ამის ამბიცია მაქვს. თუმცა არის სფეროები, რომელსაც ვერ გავრისკავ. მაგალითად, ექიმი ვერ ვიქნები. პოლიტიკა მაინტერესებს, იმიტომ რომ საქართველოში ვცხოვრობ. ვთვლი, რომ ადვილია პოლიტიკოსობა. რომ ამბობენ, რთულია პოლიტიკაში სუფთა იყოო, ხისთავიანი ხალხის აზრი მგონია. ეს მთელი თაობაა, ხისთავიანი ხალხის თაობა.

- „ჩემი ცოლის დაქალების“ პერსონაჟ პოლიტიკოსებზე რას იტყვი?

- მგონია, რომ ეს არ არის ქართული რეალობა. სერიოზულად ვერ აღვიქვამ ამ სერიალის პოლიტიკოს პერსონაჟებს. უცნაურად არის ნაჩვენები, სერიალის პერსონაჟები არ ჰგვანან რეალურ პოლიტიკოსებს. ახლოს ვიცნობ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც და ახლებსაც. ისინი არ არიან აქ ნაჩვენები. იდეაში ხომ უნდა იყოს მაგალითი ესა თუ ის სერიალი მაყურებლისთვის, რაღაც ხომ უნდა ვისწავლოთ იქიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასე არ არის.

- მგონია, რომ არ მოგწონს სერიალი, რომელშიც თამაშობ.

- როგორ გითხრათ, მომწონს ის, რომ წარმოუდგენელ ტემპში ძალიან დაბალი ბიუჯეტის ფონზე კეთდება სერიალი, რომელმაც თურქულ სერიალებს აჯობა რეიტინგით. მომწონს ის, რომ პროფესიული დამოკიდებულება აქვთ რეჟისორსა და პროდიუსერს მსახიობების მიმართ. არ მომწონს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში პოპულარულია ასეთი ტიპის პრიმიტიული სერიალები, პრიმიტიული იმ თვალსაზრისით, რომ ყველა გმირის პირადი ცხოვრებაა ნაჩვენები და არა მათი პროფესიული მხარე.

- მაგრამ ეს არის მაყურებლის დაკვეთა.

- მაგრამ ხომ იღებს „ჯი-დი-ეს“-ი სხვა ტიპის სერიალებს. როგორიც იყო, მაგალითად, „ტიფლისი“.

- რომელსაც არ ჰყავდა ამდენი მაყურებელი...

- მაყურებელი არ ჰყავდა იმიტომ, რომ ქვეყანაში მონოპოლიაა ტელევიზიებზე. მაყურებლის 95% ერთი ტელევიზიის არის, 5 %-ს დანარჩენი ტელევიზიები ინაწილებენ. ინტერნეტში ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა „ტიფლისს“.

- კარგი, „ჩემი ცოლის დაქალებს“ დავუბრუნდეთ. რით ჰგავხარ შენს გმირს?

- ტანსაცმლით, ძირითადად ჩემი ტანსაცმელი მაცვია ხოლმე. ჩაცმა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვგავარ ასაკით.

- რა არ მოგწონს გიოში?

- ხშირად უაზროდ ყოფნა მიწევს, ტექსტი არ მაქვს. ჩვეულებრივ ყოფაში ბევრ მსგავს სიტუაციაში რომ აღმოვჩენილიყავი, რამეს ვიტყოდი, რეაქცია მექნებოდა. გიო გამოთიშულია ყველაფერს. არ იცის დის ორსულობა. ზედმეტად ნეიტრალური ტიპია. არ მომწონს „ბიოს“ რომ ეწევა. ბევრჯერ მაქვს მოწეული „ბიო“ და არ არის კარგი. თუ ეწევი მარიხუანა მაინც მოწიე, არ არის მავნებელი ჯანმრთელობისთვის და არ იწვევს შეჩვევას. ეს დამტკიცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ.

- კიდევ რომელიმე სერიალში ხომ არ გნახავთ?

- „ჯი-დი-ეს“-ზე ლევან დაბრუნდაშვილი იღებს დიდბიუჯეტიან სერიალს „ქერჩის ომზე“, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი დიდი ბაბუა. ძალიან ბევრი ქართველი ვაჟკაცი დავკარგეთ ამ ომში და ამ ტელევიზიას უნდა მათი სახელები გააცოცხლოს, თაობებს შემოუნახოს. თავიდან, ალბათ, ვიზუალის გამო, გერმანელის როლზე დამამტკიცეს. ეს იქნება ეპიზოდური როლი. მაგრამ, მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ბაბუაჩემიც ამ ომში იბრძოდა, წაიკითხეს მისი დღიურები, მისი ჩანაწერებიდან შეიტყვეს ბევრი საინტერესო დეტალი ომის შესახებ, შემომთავაზეს ჩემი დიდი ბაბუაც ვითამაშო. ეს იქნება მთავარი როლი. ეს ორმაგად საამაყოა ჩემთვის. ასე რომ, ვითამაშებ ჩემს დიდ ბაბუას, ამბროსი შენგელიას, რომელიც მოხალისედ წავიდა ომში და ძალიან ბევრი საინტერესო რამ გადახდა თავს. მალე დაიწყება გადაღებები. ვნახოთ რა გამოვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N14 (315) ორშაბათი, 13 აპრილი, 2015 წ.

ეროვნული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

exclusive

ილო ბერიშვილი „ორი ვარსკვლავის“ ჟიურის აკრიტიკებს - ჩვენ რა ვქნათ, ვისი ბავშვობაც მათთან არ გადაიკვეთა?!

ლინდა ადამია: „მე და ჩემი პატარა“ „X ფაქტორის“ ყველა სიძნელის გადასალახად მზად ვართ“



„რთულია ორსულობის დროს სწორად სიმღერა, რადგან სუნთქვების სწორად აღება ცოტა მიჭირს. მაგრამ მაგაზეც ვიმუშავებ“

exclusive

დუტას უფროსი ქალიშვილი გერმანიიდან შეყვარებულთან ერთად ჩამოდის

„მამა სულ მეკითხება, როდის ჩამოხვალთო? პასკალსაც აინტერესებს საქართველო, უნდა ნახოს, სად გავიზარდე და ამ ზაფხულს ერთად გვინდა ჩამოსვლა“

exclusive

რატომ გამოაგდეს მერვე კლასიდან რეზი ნასიძე - ბევრჯერ მაქვს მოწეული „ბიო“

„არ არის სწორი იცხოვრო ისე, როგორც შენს მშობლებს, ოჯახის წევრებს ან ზოგადად სხვა ადამიანებს უნდა. ცოდოა ვინც ასე ცხოვრობს“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება